ვის (კვლევის სფერო 1 ჰა) აუთვისებლობის მიზეზით „RMG GOLD"-ში დასაქმებული მოქალაქეებისთვის ფინანსური პრობლემების შექმნაც, რაც, ფაქტობრივად, ჩვენთვის ცნობილი მთავარი მიზეზი გახდა საყდრისის იავარქმნისა.

ამ ადგილის თაობაზე შეფასებები საბოლოოდ დამტკიცებული რომც არ ყოფილიყო, კომპანიას, რომელსაც აქვე აქვს სხვა დიდი ტერიტორიები ოქროს მოპოვებისათვის, საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორმე უნდა მოეხერხებინა ალტერნატიული გზების გამოძებნა, რათა ხალხი უხელფასოდ არ დარჩენილიყო და, სხვა თუ არაფერი, თავისი თავისთვისაც პრობლემები არ შეექმნა.

დღეს კი შედეგად გვაქვს სახელმწიფოებრივი აზროვნების წინააღმდეგ გაკეთებული ყოვლად გაუმართლებელი ქმედება.

საქართველოს ეკლესია გამოთქვამს დიდ წუხილსა და გულისტკივილს მომხდარის გამო.

იტალიის ქალაქ პოჯიბონსში დაარსდა ქართული სამრევლო

იტალიის ქალაქ პოჯიბონსში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების თხოვნით, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) მიერ დაარსდა კიდევ ერთი ახალი ქართული სამრევლო. პოჯიბონსის წმ. მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის სახელობის სამრევლოში ღვთისმსახურება თვეში ერთხელ ჩატარდება. სამრევლოს წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე).

ტაძრების კურთხევა

10 იანვარს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. **მოხისის** ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი.

11 იანვარს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის, ძამას ხეობის, **წყაროსთავის** წმ. დავით და ტარიჭანის სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრად **მღვდელ-მონოზონი დიონისე (კუხიანიძე)** დაინიშნა.

ხელდასხმა

19 დეკემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა შორაპნის წმ. ნიკოლოზის სახელობის ახლად აგებული ეკლესია. ტაძრის ქტიტორია ვასილ მშვენიერაძე. წინამძღვრად **დეკანოზი გიორგი რევიშვილი** დაინიშნა.

***

8 იანვარს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. **აბისისთავის** ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. წირვის დროს მიტროპოლიტმა იობმა მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან გიორგი ცაბაძეს**, რომელიც ამავე ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

***

9 იანვარს სოფ. ურბნისის წმ. სტეფანე პირველმოწამეს სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან გიორგი აბდუშელიშვილს**, რომელიც დროებით ამავე ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა.

ბერად აღკვეცა

4 იანვარს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ბერად აღკვეცა სოფ. ზედა საქარის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **მორჩილი გიორგი დანელია** და სახელად **ნოე** უწოდა.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 2014 წლის 28 დეკემბერს ადრიატიკის ზღვაზე სამგზავრო გემზე მომხდარი ხანძრის დროს დაიღუპა მცხეთა-თბილისის ეპარქიის, მცხეთის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი ილია (კარტოზია)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მონასტრის საძმოს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **არქიმანდრიტ ილიას** სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 2014 წლის 30 დეკემბერს ავტოკატასტროფაში დაიღუპა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის, ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი იოანე მალაღურაძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მონასტრის საძმოს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **დეკანოზ იოანეს** სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 2014 წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა მცხეთა-თბილისის ეპარქიის **მონაზონი ანა (მანანა ქურდოვანიძე)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **მონაზონ ანას** სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 8 იანვარს გარდაიცვალა რუის-ურბნისის ეპარქიის, ქოზიფას მონასტრის საძმოს წევრი, **სქემმონაზონი იაკობი (გოგიბერიძე)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მონასტრის საძმოს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **სქემმონაზონ იაკობის** სული.

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება (17 იანვარი, 2015 წელი)

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სიტყვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა, სხვა ფასეულობების დაცვის მიზნით, დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

რაც შეეხება რელიგიური გრძნობების უხამსი და ცინიკური ფორმით საჯაროდ შეურაცხყოფას და ღვთის გმობას, იგი ევროპის კავშირის წევრ თითქმის ყველა ქვეყანაში სისხლის სამართლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. განსაკუთრებით კი მძიმეა ეს დანაშაული იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებას.

ჩვენი ეს პოზიცია ზოგადად დაფიქსირდა შვიდი დღის წინაც დეკანოზ თეიმურაზ თათარაშვილის ინტერვიუში, ხოლო ამ განცხადების გაკეთება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მუსლიმთა რელიგიური გრძნობების შემლახველი კარიკატურა და მასალები დიდი ტირაჟით ახლახან ისევ გავრცელდა.

ამიტომაც კვლავ ვაცხადებთ, რომ როგორც არა აქვს გამართლება ე.წ.ლინჩის წესით გასამართლებასა და ტერორიზმს, რა მოტივითაც არ უნდა იყოს იგი განპირობებული, ასევე დაუშვებელი და დასაგმობია, როგორც მუსლიმების, ისე, საერთოდ, ნებისმიერი რელიგიის სიწმინდის რაიმე ფორმით შეურაცხყოფა. ასეთი ქმედებების შედეგები შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს არა მხოლოდ რომელიმე ქვეყნისათვის, არამედ მთელი რეგიონისა და მსოფლიოსათვისაც კი და ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ზღვარი, რათა დაიცვას ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული სხვა უფლებები.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქრისტიანული ტრადიცია მუდამ გულისხმობდა სხვა კულტურისა და რწმენის მქონე თემებთან მშვიდობიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობას და ამ პრინციპით ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ საქართველოში.

არქიმანდრიტი ილია (კარტოზია) თავის მიერ აშენებული მონასტრის ეზოში დაკრძალეს

18 იანვარს საქართველოში გადმოასვენეს 2014 წლის 28 დეკემბერს ადრიატიკის ზღვაზე სამგზავრო გემზე მომხდარი ხანძრის დროს დაღუპული მცხეთა-თბილისის ეპარქიის, მცხეთის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილია (კარტოზია).

მამა ილიას ცხედარი თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მიასვენეს, სადაც მას პანაშვიდი გადაუხადა სრულიად საქარტველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. შემდეგ მამა ილია სვეტიცხოველში გადაასვენეს, სადაც შეკვეთილი წირვა-ლოცვა აღავლინა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე).

20 იანვარს არქიმანდრიტი ილია წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიიღო ევროკომისარი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში

15 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო ევროკომისარი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში, ბატონი იოჰანეს ჰანი.

შეხვედრას ესწრებოდნენ ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში, ბატონი იანოშ ჰერმანი და ევროკომისრის თანმხლები პირები.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისთვის და ისაუბრა იმ პროცესის მნიშვნელობის შესახებ, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვითარდება; ხაზი გაუსვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას და მადლიერება გამოთქვა იმ მხარდაჭერის გამო, რომელსაც ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები გამოხატავენ საქართველოს მიმართ.

შეხვედრაზე დამსწრე პირთაგან ითქვა იმ წვლილის შესახებაც, რომელიც საქართველოს ეკლესიას შეაქვს რელიგიათშორისი ურთიერთობის განმტკიცების საქმეში ინტერრელიგიური სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

თავის მხრივ ბატონმა იოჰანესმა ისაუბრა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და პირადად კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის გამორჩეულ როლზე საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში და დასძინა, რომ ბრიუსელში კარგად იცნობენ საქართველოს მწყემსთავრის საქმიანობას, დიდად აფასებენ მას და ზოგადად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

ევროკომისარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და გამოთქვა იმედი, რომ საქართველო წარმატებით გაართმევს თავს ევროკავშირში ინტეგრირების პროცესს.

დაჯილდოება

1 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) **დეკანოზი ექვთიმე სინჯიაშვილი** გამშვენებული ჯვრითა და მიტრით დააჯილდოვა.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" თანამშრომელს, მაია მათითაშვილს გარდაეცვალა დედა - ქეთევან ჯაბაური და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ქეთევანი.

ჩვენს ახალგაზრდობას; არადა, ამას ყოველი ადამიანი უნდა გრძნობდეს. ყოველი ადამიანის საზრუნავი, უპირველეს ყოვლისა, სამშობლო უნდა იყოს და არა ის, თუ რა ჭამოს და რა სვას; რადგან თუკი ადამიანი სამშობლოს კეთილდღეობაზე იზრუნებს, მას ღმერთი არაფერს მოაკლებს.

ადამიანის საფიქრალი უნდა იყოს ის, თუ რისთვის მოვიდა ამქვეყნად და რა უნდა აკეთოს სამშობლოსათვის!

დღევანდელი ახალგაზრდობა, სამწუხაროდ, უმეტესწილად გართობისკენაა მიდრეკილი. რა თქმა უნდა, ყველაზე ამას ვერ ვიტყვი, რადგან არსებობს შეგნებული ნაწილიც, რომელიც საქართველოზე ფიქრობს. ბევრს უბრალოდ ვერ გაუკვლევია გზა, არ იცის, რა აკეთოს. „მაუწყე მე უფალო გზაი, რომელსაცა ვიდოდე, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი." აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ, ამაზე უნდა იფიქროს ჩვენმა ახალგაზრდობამ და არა ღამის ბარებზე. ღამის ბარები და გართობა კლავს ადამიანის სულს, ასუსტებს გონებას. აი, ამიტომ უნდა ერიდოს ჩვენი ახალგაზრდობა ასეთ გართობებს.

დღეს ჩვენ შევთხოვთ წმინდა ნინოს, რომ მისი წმინდა ლოცვებით გახსნას ჩვენი ახალგაზრდობის გული და გონება, მიანიჭოს მას გული გონიერი. ბიბლიიდან ვიცით, რომ შიში ღვთისა არის საწყისი სიბრძნისა. ამიტომ ჩვენს ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს ღვთისმოშიშობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება. ჩვენმა ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რა უნდა აკეთონ მამულის საკეთილდღეოდ.

არც ისე დიდია ადამიანის მინიერი ცხოვრების ჟამი — 70-80 წელს შეიძლება მიაღწიოს მან და ამის შემდეგ, როგორც ფსალმუნში წერია, იწყება ავადმყოფობა და სალმობა. ამიტომ უნდა მოვასწროთ მოღვაწეობა, ჩვენი წილი საქმე ვაკეთოთ და ამ საქმიანობისას ერთმანეთს დავეხმაროთ: „ურთიერთარს სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი," — ამბობს წმინდა პავლე მოციქული. შევეწიოთ ერთმანეთს და ღმერთი ჩვენც შეგვეწევა!

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწულს, — ხსენებას წმინდა მოციქულთასწორ დედა ნინოსი!

განსაკუთრებით ვულოცავთ იმ ადამიანებს, რომლებიც წმინდა ნინოს სახელს ატარებენ. დალოცვილი და გახარებული იყავით, ბევრი სიკეთე გაკეთებინოთ უფალმა და მიწიერი სიცოცხლის ბევრი დრო მოგცეთ!

დღეს ამ წმინდა ტაძრის განსაკუთრებული, საიუბილეო დღეა და ამიტომ მინდა დავაჯილდოვო აქ მოღვაწე სამღვდელოება:

დეკანოზი კონსტანტინე ლეკიშვილი დაჯილდოებულია მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი არჩილ ხაჩიძე — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი გიორგი ჭიტაძე — ოქროს ჯვრით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში;

მღვდელი გიორგი გებუტაშვილი — ოქროს ჯვრით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში.

დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამაზეციერმა!

ღმერთმა დალოცოს და აცხონოს ის ადამიანები, რომლებიც განისვენებენ ამ სასაფლაოზე!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

ცვლილებები ეპარქიებში

გაცნობებთ, რომ 4 ეპარიაში შეიცვალა მმართველი მღვდელმთავარები და ამჟამად:

ყოვლადუსამღვდელოესი მელქისედეკი (ხაჩიძე) გახდა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი,

ყოვლადუსამღვდელოესი დიმიტრი (კაპანაძე) — ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი,

ყოვლადუსამღვდელოესი იოანე (შომახია) — მარტყოფისა და გარდაბნის ეპისკოპოსი,

ყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი (კაცია) — აგარაკ-წალკის ეპისკოპოსი.

ხელდასხმა

1 თებერვალს რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა:

მღვდლად — თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს, ლილოს დასახლების წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის დიაკონ გიორგი ხონელიძეს (მღვდელი გიორგი იმავე ტაძარში იმსახურებს);

დიაკვნად — თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს, წმინდა გიორგის სახელობის ნაქულბაქევის დედათა მონასტრის მედავითნე შიო ბაკურიას.

დიაკონი შიო აეროპორტის დასახლების წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

ქრონიკა. ინფორმაცია

დაჯილდოება

8 თებერვალს, თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილოდვა შემდეგი მღვდელმსახურნი:

ბელგუაში მოღვაწე **ილუმენი აბიბოსი (ხურციძე)** აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში;

იტალიაში მოღვაწე **ილუმენი გაბრიელი (ღურცკაია)** აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში;

ვაკის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი ჯიბუტი** დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით;

საბურთალოს, ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის ღვთისმსახური, **დეკანოზი ლევან მერაბიშვილი** დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მუხიანის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახ. ტაძრის ღვთისმსახური, **მღვდელი სერგი ლომიძე** აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილოდებულია ოქროს ჯვრით.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

2015 წლის 2 თებერვლიდან საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის 0 სართული) განახლდა შემეცნებითი საუბრები.

საუბრები იმართება 15:30 სთ.-ზე, შაბათ-კვირის გარდა. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი – 12.02.15. – ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „ადამიანის ცხოვრების მიზანი და თავისუფლება".

საუბარს წარმართავს წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია (15:30სთ.).

პარასკევი – 13.02.15. – ფსიქოლოგია.

თემა: „ხასიათის და ტემპერამენტის თავისებურებები".

საუბარს წარმართავს სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი, ფსიქოლოგი ლელა ტყეშელაშვილი (15:30 სთ.).

ორშაბათი – 16.02.15. – ისტორია.

თემა: „იესო ქრისტეს იგავები".

საუბარს წარმართავს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დოდო ღლონტი (15:30 სთ.).

სამშაბათი – 17.02.15. – ხელოვნება.

თემა: „ქართული ორნამენტი".

საუბარს წარმართავს სამხატვრო აკადემიის დოცენტი მურად იამანიძე (15:30 სთ.).

ოთხშაბათი – 18.02.15. – ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „წირვა-ლოცვის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში".

საუბარს წარმართავს წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ბიძინა გუნია (15:30სთ.).

ხელდასხმა

8 თებერვალს, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახ. საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტს, წმინდა მეფე დემეტრე თავდადებულის სახელობის ტაძრის სტიქაროსანს, გიორგი ბედიაშვილს.

დიაკონი გიორგი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

27 იანვარს ბოდბის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან დავით ლორთქიფანიძეს.**

***

8 თებერვალს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის **სტიქაროსანი ლევან ზაკალაშვილი.**

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

პულმონოლოგი და ფთიზიატრი — 14 თებერვალს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 21 თებერვალს, 13.00-14.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 21 თებერვალს, 15.00-16.00 სთ.;

ნევროლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 22 თებერვალს, 12.00-14.00 სთ.;

ოფთალმოლოგი — 24 თებერვალს, 16.30 სთ.;

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება (12.02.2015 წ.)

ბოლო დროს გახშირდა ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობის მიზნით ან სოციალურად დაუცველთათვის დახმარების მოტივით სტიქაროსნების ან სასულიერო პირების მიერ ფულის შეგროვება ქუჩებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში.

როგორც წესი, ძირითადად ამას აკეთებენ ისეთი პირები, რომელთაც ეკლესიისგან ასეთი კურთხევა არა აქვთ ან, საერთოდაც, არ არიან სასულიერო პირები და ისინი თანხას სინამდვილეში პირადი სარგებლობის მიზნით იყენებენ.

საქართველოს საპატრიარქომ ადრეც გააფრთხილა საზოგადოება და ახლაც აფრთხილებს, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ბრძანებით არც ერთ სასულიერო პირს და ეკლესიაში მომსახურე პირს არ აქვს უფლება, საჯარო თავშეყრის ადგილებში ითხოვდეს თანხას.

რაც შეეხება ყულაბებს, რომელიც ხშირად გვხვდება სხვადასხვა დაწესებულებებში, რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და კოლექტივის გადასაწყვეტია, დაეხმარებიან თუ არა ვინმეს ან თუნდაც ეკლესიას, ოღონდ, თუ ეს ეკლესიის მშენებლობის ან მონასტრის შეწევნის მიზნით ხდება, ვურჩევთ მათ, გადაამოწმონ, თანხა მიდის თუ არა დანიშნულების ადგილზე, რადგან ეკლესიის სახელით მოტყუების ფაქტებს ამ შემთხვევებშიც ჰქონდა ადგილი.

„საპატრიარქოს უწყებანის“ ელექტრონული გვერდი

საპატრიარქოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანს“ ამიერიდან აქვს ელექტრონული გვერდი ინტერნეტ სივრცეში. ჩვენი მისამართია: **ssu.ge.**

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ვთავაზობთ „საპატრიარქოს უწყებანის“ ელექტრონული ვერსიის გამოწერას.

ასევე გთავაზობთ ჩვენს ელექტრონულ გვერდზე რეკლამირებული წიგნების შეძენას. მოგვწერეთ თქვენი სურვილები და წინადადებები. გაზეთის ელექტრონული ვერსიის გამოწერის შემთხვევაში, მისი მიღება შესაძლებელი იქნება სერვერიდან გადმოტვირთვის საშუალებით (მიიღებთ შესაბამის იუზერსა და პაროლს), სხვაგვარად შესაძლებელია ელ.ვერსია მოგაწოდოთ სკაიპით.

ხელდასხმა

15 თებერვალს, მირქმის დღესასწაულზე, რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახ. საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, რუსთავის წმინდა მეფე დავით მეფსალმუნის სახელობის სამლოცველოს **სტიქაროსანს, გიორგი ბუაჩიძეს.**

დიაკონი გიორგი რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

8 თებერვალს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი ვაზისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის **დიაკვან გიორგი ჭიაბრიშვილს.**

მღვდელი გიორგი ვაზისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა

5 თებერვალს, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე წმინდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ტაძრის გვერდით ეკურთხა ახალი ტაძარი, რომელიც წმინდა მამა გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის სახელზე აკურთხა აგარაკ-წალკის ეპისკოპოსმა, მეუფე გრიგოლმა.

ტაძრის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი ტყუპმა ძმებმა, დეკანოზებმა ანტონ და ზაზა ბეჟანიშვილებმა შეიტანეს.

„მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში გვედგა, გვეხმარებოდა და გვამხნევებდა ამ პატარა და ულამაზესი ტაძრის მშენებლობაში“— გვწერენ ახალაშენებული ტაძრის მესვეურები.

ახალგაზრდულ ცენტრში შედგა მიტროპოლიტ სტეფანეს ახალი წიგნის „ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედენ...“ წარდგინება

ამა წლის 13 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოს სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ახალი წიგნის (I ტომი) - „ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედენ...“ წარდგინება.

წიგნში შესულია მეუფის მიერ სხვადასხვა დროს

მცირე განმარტება

სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს კათოლიკოს-პატრიარქმა თავისთან დაიბარა ქალბატონი გიული ალასანია, რათა მას „მიშასათვის გადაეცა, დაბრუნდეს და ქვეყანას მიხედოს", რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

როგორც ჭორების უმრავლესობა, ეს ინფორმაციაც ტყუილ-მართლის ნაზავია:

ქალბატონი გიული მართლაც იყო მოსული საქართველოს საპატრიარქოში იანვრის პირველ რიცხვებში, ოღონდ თავისი სურვილით და იმ მიზნით, რომ სხვა მოქალაქეების მსგავსად, მისი უწმინდესობისათვის მიელოცა დაბადების დღე, რასაც იგი გასულ წლებშიც აკეთებდა; ვიღაცას კი ძალიან სურს, სხვა ელფერი მისცეს ამ ჩვეულებრივ ფაქტს.

სხვათა შორის, ქალბატონი გიული ალასანიას ახლობელი, ქალბატონი დარეჯან კუხიანიძეც იგივეს წერს თავის ფეისბუქის გვერდზე, მაგრამ რატომღაც ტირაჟირდება სხვების „სიმართლე," მისი კი — არა.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი
4 მარტი, 2015წ.

განცხადება

2004 წ. გამოიცა წიგნი „XX საუკუნის ქართველი წმინდანები, მოღვაწეები, გმირები", ზურაბ ეკალაძის რედაქტორობით. წიგნში შესულია ორი სტატია მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ნაშრომიდან — „დიდი ქართველი მოძღვარი ათონზე და მისი სულიერი მემკვიდრეები" — „ღირსი ალექსი (შუშანია)" და „არქიმანდრიტი შიო (ძიძავა)".

წიგნში, სამწუხაროდ, არ არის მითითებული, რომ ამ სტატიების ავტორი ბრძანდება მიტროპოლიტი შიო, რისთვისაც ზურაბ ეკალაძე შენდობას ითხოვს მეუფე შიოსა და მკითხველის წინაშე.

დაჯილდოება

21 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვარი — კლდეკარის წმინდა იოანე ნათლისმცელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **იღუმენი გაბრიელი (გაჩეჩილაძე);**

ოქროს ჯვარი და იღუმენის წოდება — ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონოზონი შიო (მამისაშვილი);**

ოქროს ჯვარი და დეკანოზის წოდება — მოხისის წმინდა გიორგისა და ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრების წინამძღვარი, **მღვდელი გრიგოლ მეზვრიშვილი.**

ხელდასხმა

15 თებერვალს ქოზიფას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე მონასტრის **ბერ-დიაკვან იოსებს (ხაიკაშვილი).**

***

22 თებერვალს ექადიის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის **დიაკვან გიორგი ბარამიძეს.**

მღვდელი გიორგი ოზურგეთის საკათედრო ტაძარსა და აჭის დედათა მონასტერში იმსახურებს.

აღკვეცა

28 თებერვალს ბებნისის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის დედათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა: მორჩილი **ია ქუშაშვილი** — სახელად ეწოდა **ევფროსინე**, მორჩილი **ბარბარე შოშიაშვილი** — სახელად ეწოდა **აღათია** და მორჩილი **ხათუნა ელოშვილი** — სახელად ეწოდა**ქსენია**.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2015–2016 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროგრამებზე:

ა) თეოლოგია (აკადემია, სამაგისტრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

ბ) თეოლოგია (სემინარია, საბაკალავრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

გ) ქრისტიანული ფსიქოლოგია (საბაკალავრო პროგრამა);

დ) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა (საბაკალავრო პროგრამა);

ე) საეკლესიო არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) (საბაკალავრო პროგრამა);

ვ) ხატწერა (საბაკალავრო პროგრამა);

ზ) დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია (საბაკალავრო პროგრამა).

სწავლა უფასოა.

ბაკალავრიატში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის–ატესტატის მფლობელნი ან მასთან გათანაბრებული პირები.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარდება მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა, შიდა გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

დღეს ჩვენ ვაჯილოდოებთ ჩვენს სამღვდელოებას:

მღვდელ-მონაზონი ამბროსი (ბიჭიკაშვილი) აღყვანილია ილუმენის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

მღვდელ-მონაზონი ლაზარე (ვაზაგაშვილი) აღყვანილია ილუმენის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

მღვდელი პიმენი ჯეგაძე აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით.

დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამაზეციერმა!

ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და საქართველოს!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მეუფე იაკობს (იაკობიშვილი) საკუთრებაში გადასცა ავტომანქანა TOYOTA LANDCRUISER-ი.

გვინდა განვმარტოთ, რომ 2014 წელს მეუფე იაკობმა, როგორც ქორეპისკოპოსმა, მართლაც მიმართა ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობით, ორი ავტომანქანის გადმოცემის შესახებ, ოღონდ არა თავისი მოხმარებისთვის, არამედ სვანეთის ეპარქიისათვის. ეს მანქანები 2009 და 2011 წელში ხელისუფლებამ მეუფე ილარიონს (სვანეთის ეპისკოპოსს) გამოუყო სარგებლობის უფლებით, იგი კი ამჟამად ითხოვდა, შესაძლებლობის შემთხვევაში, მათ საკუთრებაში გადმოცემას.

სახელმწიფომ ახლაც ძალაში დატოვა ორივე მანქანის ფლობა სარგებლობის უფლებით და არ დაკმაყოფილა მეუფე იაკობის შუამდგომლობა, რის შესახებაც ეკონომიკის სამინისტრომაც გამოაქვეყნა განცხადება.

ასე რომ, მეუფე იაკობთან დაკავშირებით TOYOTA LANDCRUISER-ის გადაცემის შესახებ ხმები სინამდვილეს არ შეესაბამება.

3 მარტი 2015 წ.

ხელდასხმა

28 თებერვალს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან დავით ინწკირველს.**

მღვდელი დავითი გარდაბნისა და მარტყოფის ეპარქიაში იმსახურებს.

აღკვეცა

10 მარტს შიომღვიმის მამათა მონასტრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ამავე მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა საბამ (ჯიშკარიანი) შეასრულა ბერად აღკვეცის წესი. აღიკვეცნენ ამავე მონასტრის მორჩილები: **გურამ მამამთავრიშვილი** — სახელად ეწოდა **გიორგი; ვასილ მელქაძე** — სახელად ეწოდა **იოაკიმე; ზურაბ ბუზალაძე** — სახელად ეწოდა **პაისი; გერმანე დვალიშვილი** — სახელად ეწოდა **ილია.**

დაჯილდოება

15 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დააჯილდოვა ხაშურისა და სურამის ეპარქიის სამღვდელოება:

ოქროს ჯვარი და ილუმენის წოდებით — **მღვდელ-მონაზონი ამბროსი (ბიჭიკაშვილი)** და **მღვდელ-მონაზონი ლაზარე (ვაზაგაშვილი);**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — **მღვდელი პიმენ ჯეგაძე.**

საძირკვლის კურთხევა

15 მარტს ზესტაფონის ერთ-ერთ უბანში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა **მთავარანგელოზთა — მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძრის** საძირკველი.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2015–2016 სასწავლო წლისთვის შემდეგ პროგრამებზე:

ა) თეოლოგია (აკადემია, სამაგისტრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

ბ) თეოლოგია (სემინარია, საბაკალავრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

გ) ქრისტიანული ფსიქოლოგია (საბაკალავრო პროგრამა);

დ) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა (საბაკალავრო პროგრამა);

ე) საეკლესიო არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) (საბაკალავრო პროგრამა);

ვ) ხატწერა (საბაკალავრო პროგრამა);

ზ) დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია (საბაკალავრო პროგრამა).

სწავლა უფასოა.

ქრონიკა. ინფორმაცია

ხელდასხმა

21 მარტს უბისის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში ღამისთევის მსახურებაზე მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) ბერად აღკვეცა დიაკვნები: **გრიგოლ სულთანიშვილი** — სახელად ეწოდა **ანტონი** და **ბასილ ბაბუაძე** — სახელად ეწოდა **ბესარიონი.** ამავე დღეს ეპისკოპოსმა მელქისედეკმა **ბერ-დიაკვან ანტონს** მღვდლად დაასხა ხელი.

მღვდელ-მონაზონი ანტონი უბისის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

ბერ-დიაკვანი ბესარიონი ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დაინიშნა.

22 მარტს ორხევის წმ. ორმოეც სებასტიელი მოწამის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა შატბერდის წმ. ეკატერინეს სახელობის მამათა მონასტრის **ბერი მათე (ტატიშვილი).**

აღკვეცა

7 მარტს ბურმუხის წმ. მერკვირის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე წმინდანის სახელობის მამათა მონასტრის კეთილმოწესე **ბერ-დიაკვანი პავლე (წიკლაური)** და სახელად **პავლე** უწოდა (წმ. პავლე თებაიდელის სახელზე).

19 მარტს ბერმუხის წმ. მერკვირის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე წმინდანის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილები: **გიორგი ანდრიაძე** — სახელად ეწოდა **ზოსიმე** (წმ. ზოსიმე ფინიკიელის სახელზე) და **დანიელ სხილაძე** — სახელად ეწოდა **ლუკიანე** (წმ. ლუკიანე გარეჯელის სახელზე).

19 მარტს გვერძინეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე წმინდანის სახელობის დედათა მონასტრის **მონაზონი ზინობია (ხორბალაძე)** და სახელად **ევთალია** უწოდა (წმ. ქალწულმოწამე ევთალიას სახელზე) და გეთსამანიის მენელსაცხებლე დედათა სახელობის დედათა მონასტრის მორჩილი **ლამარა როსტიაშვილი** აღკვეცა მცირე სქემაში და სახელად **პიამა** უწოდა (ღირსი პიამას სახელზე).

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2015–2016 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროგრამებზე:

ა) თეოლოგია (აკადემია, სამაგისტრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

ბ) თეოლოგია (სემინარია, საბაკალავრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

გ) ქრისტიანული ფსიქოლოგია (საბაკალავრო პროგრამა);

დ) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა (საბაკალავრო პროგრამა);

ე) საეკლესიო არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) (საბაკალავრო პროგრამა);

ვ) ხატწერა (საბაკალავრო პროგრამა);

ზ) დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია (საბაკალავრო პროგრამა).

სწავლა უფასოა.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

2015–2016 სასწავლო წლისათვის ასევე აცხადებს მიღებას

თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე

მაგისტრატურაში (აკადემიაში) მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი საერო და სასულიერო განათლების მქონე პირები (მხოლოდ მამაკაცები).

შიდა გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1) წმინდა წერილი (ზეპირი);

2) ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);

3) საქართველოს ისტორია (წერა);

4) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

5) უცხოური ენა (ტესტირება).

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე საბუთები მიიღება 10 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით, 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება 31 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მისამართი: თბილისი, სიონის ქუჩა 13/40.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით; ტელ.: 2920821;

ელ.ფოსტა — sasuliero_ akademia@yahoo.com

ვებგვერდი: www.tsas.ge

შეცდომების გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ წინა, მე-10 ნომერში, მე-16 გვერდზე, სტატიაში „მეტი პატრიოტიზმისა და აქტიურობის გამოვლენა გვმართებს...“ გაიპარა შეცდომები. ნაცვლად სიტყვებისა: „პარლამენტის შენობიდან საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა დაარიგეს ბუკლეტებიც“ უნდა იყოს: „საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა დაარიგეს ბუკლეტებიც“. ასევე — ალიაბადის 1 საშუალო სკოლა ადილა ხალილის ძე ჰაჯიევის (კურაკიშვილის) სახელობისაა, ხოლო

რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

9-იდან 16 აპრილის (დიდ ხუთშაბათიდან — ბრწყინვალე კვირეულის ხუთშაბათამდე) ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს სააღდგომო ტურს იერუსალიმში – წმინდა მიწაზე;

შეხვდით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს საპატრიარქოს ჯგუფთან ერთად და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი;

ტურის ღირებულება შეადგენს 1500 $-ს.

ერთი კვირა სრული პაკეტით, რომელიც მოიცავს შემდეგს: თვითმფრინავით მგზავრობა პირდაპირი რეისით ორივე მიმართულებით, 4* სასტუმრო 2-ჯერადი კვებით, ადგილზე ტრასპორტირება, გიდის მომსახურება, სამუზეუმო ხარჯი).

დაწვრილებით ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით

მობ: 577443010, 599333352; 292–39–78

იჩქარეთ, საბუთების მიღება დაწყებულია!

ეძებენ დაკარგულს

ოჯახი ეძებს 23 წლის პაატა გელოვანს. ოჯახის წევრები იმედოვნებენ, რომ იგი იმყოფება რომელიმე მონასტერში.

თუ რამე ინფორმაცია გაქვთ აღნიშნული პიროვნების შესახებ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ დარეკოთ შემდეგ ნომრებზე:

555 11 74 14: დედა — ლელა გელოვანი;
595 641 849: მამა — ანზორ გელოვანი.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს თანამშრომელს, ლადი ფირცხალავას გარდაეცვალა მამა — ღვაწლმოსილი დემოგრაფი, გურამ (გია) ფირცხალავა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბატონმა გურამმა თავისი პირადი ბიბლიოთეკა სტატისტიკისა და დემოგრაფიის დარგში საჩუქრად გადასცა ქ. თბილისის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული გურამის სული.

ხელდასხმა

29 მარტს შავნაბადის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი ამავე მონასტრის **ბერ-დიაკვან კონსტანტინეს (ამირეჯიბი).**

აღკვეცა

29 მარტს თელეთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი გიორგი გეთიაშვილი** და სახელად **ამბროსი** უწოდა.

დიდი მარხვის VI კვირა

ლაზარეს შაბათი

„უფალი იესო ქრისტე, როგორც სრული კაცი, სხვის სიკვდილზე ტიროდა, საკუთარზე კი ბოლომდე ლოცულობდა და მასზე საბოლოო გამარჯვება მოიპოვა“

იოან.11:1-45

დღეს ჩვენ ვიხსენებთ და ვდღესასწაულობთ უფლის მიერ მართალი ლაზარეს აღდგინებას. ლაზარე იყო ძმა მართასი და მარიამისა, რომელთა შესახებაც ხშირად ვისმენთ საეკლესიო მსახურებებზე. უფალი იუდეას საზღვრებთან იმყოფებოდა, როდესაც მარიამმა და მართამ კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: **„უფალო, აჰა, ვინც გიყვარს, ავად არის“.** შემდეგ იოანე მახარებელი კვლავ ამოწმებს თავის სიტყვებს: **„უყვარდა იესოს მართა, მისი და და ლაზარე“.** საკუთარი თავის შესახებ კი ამბობს, რომ ის, როგორც ერთი მოწაფეთაგანი, **„უყვარდა იესოს“** (იოან. 13, 23). ნუთუ ღმერთს, რომელიც სიყვარულია და რომელმაც მცნებად დაგვიდო მოყვასის სიყვარული, შეიძლება უყვარდეს ერთი, მეორე კი არა? ცხადია, ასე არ არის. ყოველმა ქრისტიანმა თავად უნდა იცოდეს და შეიგრძნოს, რომ უფალს სწორედ ის უყვარს ყველაზე მეტად. მართამ და მარიამმა, როგორც იოანე ღვთისმეტყველმა, შეიცნეს ეს ჭეშმარიტება, რაც მათ სიტყვებშიც გამოიხატება.

უფალი ორი დღით შეყოვნდა იქ, სადაც იმყოფებოდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ლაზარე მოკვდა, მოწაფეებს უთხრა: **„ავდგეთ და კვლავ წავიდეთ იუდეაში“.** მოწაფეები დიდი სიხარულით არ შეხვედრიან ამ გადაწყვეტილებას: **„რაბი, იუდეველები ახლახან ჩაქოლვას გიპირებდნენ და კვლავ იქ მიდიხარ“?** უფალმა განაცხადა, რომ **„ლაზარემ მიძინა“,** მოწაფეებმა კი მიუგეს: **„უფალო, თუ მიიძინა, მომჯობინდება“.** მხოლოდ შემდეგ თქვა მაცხოვარმა პირდაპირ, რომ ის მოკვდა, მაგრამ ბეთანიაში, ლაზარესთან წასვლა მაინც აუცილებელი იყო. მოწაფეთა განწყობა და ის, თუ რა ელოდათ იქ წასვლის გამო, გამოხატა თო-

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

4 აპრილი 2015 წელი

გავრცელდა ინფორმაცია რუსეთის ეკლესიის მეთაურის მიერ აფხაზეთიდან ჩასული მღვდელმსახურების მიღების შესახებ, რომელთაც ითხოვეს ეპისკოპოსის კურთხევა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ დღეისათვის აფხაზეთში მყოფ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა შორის ორი დაპირისპირებული დაჯგუფებაა. ერთნი ცდილობენ, კავშირი დაამყარონ მსოფლიო საპატრიარქოსთან და მის იურისდიქციაში შევიდნენ. მეორენი რუსეთის ეკლესიას იმავეს სთავაზობენ. ორივე მათგანის პოზიცია მიუღებელია და სრულიად ეწინააღმდეგება მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ აღიარებულ კანონებს, რასაც, ბუნებრივია, ვერ დაარღვევს როგორც კონსტანტინეპოლის, ისე რუსეთის საპატრიარქო.

თავის მხრივ საქართველოს ეკლესიამ არაერთხელ დააფიქსირა მზაობა იმისა, რომ ჩვენი მოძღვრები ჩავიდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და აღავლინონ მსახურება, აფხაზეთში შესვლას ასევე ითხოვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რათა თავის უშუალო იურისდიქციაში მყოფ ეპარქიაში მოინახულოს სამწყსო, მაგრამ, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობის გამო, ჯერჯერობით ეს ვერ ხორციელდება.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი „ადვოკატა“ სამების საპატრიარქო ტაძარში დააბრძანეს

7 აპრილს, ხარების დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საზოგადოებმა „მომლოცველი-პილიგრიმის“ სახელით, დეკანოზმა მამუკა თავხელიძემ, საზოგადოების წევრებთან ერთად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს გადასცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი „ადვოკატას“ ქართული ასლი. ადვოკატად იწოდება უძველესი სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც, გადმოცემით, ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი. ამჟამად ხატი დაბრძანებულია რომში. მის შესახებ ჩვენს გაზეთში (2013წელი, 37) დაიბეჭდა ვრცელი ინფორმაცია.

ადვოკატას ასლი შეასრულა ცნობილმა ხატმწერმა დავით მორგოშიამ. საზოგადოების წევრებმა ხატი რომში ჩააბრძანეს და დედანს მიაახლეს, სადაც მან ერთი დღე-ღამე დაჰყო.

კათოლიკოს-პატრიარქის სურვილით, ხატს გაუკეთდა ქართული წარწერა „დამცველი“. ამიერიდან ხატი დაბრძანდა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დაწერილი ყოვლადწმინდა სამების ხატის გვერდით.

ხელდასხმა

29 მარტს ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) დიაკვნად დაასხა ხელი ახალციხის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს ზურაბ აკობიას და სახელად იოანე უწოდა.

* * *

5 აპრილს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, დიაკონ ლევან დარსალიას.

მღვდელი ლევანი თბილისის წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ტაძარში (კანდელაკის ქ.) იმსახურებს.

საპატრიარქოს და სამინისტროს ერთობლივი განცხადება

2 აპრილს

პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მეუფე თეოდორემ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ მურღულიამ ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გააკეთეს და საქართველოს მოსახლეობას მოუწოდეს თავი შეიკავონ ბზის მოჭრისგან.

ბზობის დღესასწაულის ერთ-ერთი სიმბოლოა ბზა, რომელიც აღდგომამდე ერთი კვირით ადრე, ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, დიდი რაოდენობით იჭრება და იყიდება. კოლხური ბზა ენდემური სახეობაა, არის კოლხური ტყეების ერთ-ერთი დომინანტი და უძვირფასესი მცენარე. მის გაზრდას რამდენიმე ათეული წელი სჭირდება და ხასიათდება არეალის შემცირების ტენდენციით, რისი ერთერთი უმთავრესი მიზეზიც სწორედ უკონტროლო ჭრაა. ამის გამო, კოლხური ბზა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებულ ბზის კორომებში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გამოვლინდა დაავადება - ე.წ."ბზის სიდამწვრე", აღნიშნული დაავადების გამო თითქმის მთლიანად განადგურდა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ბზის უნიკალური კორომები და იგივე საფრთხე ემუქრება ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე გავრცელებულ ბზებსაც. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიმდინარე წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში განხორციელდება ბზის კორომების სატყეო პათოლოგიური გამოკვლევა მის მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში. კოლხური ბზის გადაშენების რეალური საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მკაცრდება კონტროლი ბზის მოჭრაზე და სამართალდამრღვევზე გავრცელდება კანონით დადგენილი სანქციები. კერძოდ, ტყეში ბზის მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება დასჯადი ქმედებაა და აღნიშნულზე გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები, რაც დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსის უკანონო მოპოვების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობაზე. საჯარიმო სანქციების ოდენობა მერყეობს ორასიდან ხუთას ლარამდე, ხოლო თუ გარემოსთვის მიყენებუ-

ქრისტიანთა ერთობის სიმბოლოდ, სადაც ყველა ფენის ადამიანები თანამეინახედ იკრიბებოდნენ.

აღაპის მაგიდაზე პურის გატეხვა-გაზიარება შეეძლო ყველას: მათ, ვინც შუა მსახურებისას ტაძარი დატოვა, ან საერთოდ არ დაიშვებოდა მსახურებაზე; მაგალითად, კათაკმევლებს, მძიმე ცოდვილებს, სხვა რელიგიის მიმდევართ და მათაც, რომლებიც საერთოდ შორს იყვნენ რწმენისგან.

ანუ ეს იყო სერობის მაგიდა, არა ზიარების საიდუმლოს მსახურებით, არამედ ადამიანური ურთიერთობების, ადამიანური სიყვარულის ნიშნად და სიმბოლოდ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ზვარაკის, ცხვრის და სხვა პროდუქტების კურთხევას, რომლის გახსნილებაც მღვდლის დალოცვით ხდებოდა და ხდება, კავშირი არა აქვს ძველი აღთქმის რიტუალურ, სოტეროლოგიურ მსხვერპლშეწირვასთან. (ეს წესით უნდა იცოდნენ მათაც, რომელთაც განკითხვის კორიანტელი დააყენეს ამ ცოტა ხნის წინ. სამწუხაროდ, მსგავსი ცილისწამებები და გაბოროტება ამ ადამიანებს ცხოვრების წესად ექცათ. ეს მათი არჩევანია. ღმერთმა უშველოთ).

მნიშვნელოვანია, რომ სინურ კურთხევანში (სინ.12,54,66), სადღესასწაულო ლოცვებში, საგანგებოდაა გამოყოფილი ლოცვა დასაკლავ ზვარაკზე და ვაცზე.

შეგახსენებთ ღანგრის კრების(340წ.) განჩინებასაც: „თუ ვინმეს სძულს სარწმუნოებრივი აღაპების მომწყობნი და უფლისათვის საპატივცემულო ძმათა შემოკრება და არ სურს წვეულებაზე თანამოზიარეობა, რათა შეურაცხჰყოს აღსრულებადი, იყავნ შეჩვენებულ."

აღსანიშნავია, თუ ეკლესიაში უპირატესობა სასულიერო პირებსა და მორწმუნეთ ეძლეოდა, აღაპებზე დანარჩენ საზოგადოებაზე იყო გამახვილებული ზრუნვა. ლაოდიკიის კრების 27-ე კანონი (368წ.) ეხმაურება რა აღაპების მსახურებას ადგენს:

აღაპზე მიწვეულმა სამღვდელო პირებმა, ეკლესიის მსახურებმა და ერისკაცებმა არ უნდა წაიღონ იქიდან ნაწილი, რათა ამით არ შეურაცხყონ საეკლესიო წესი.

პავლე მოციქული ქრისტიანებს არიგებს, რომ ხორცისა და ფხალის ჭამისათვის არ შეიძლება განიკითხო მოძმე და შეურაცხჰყო ადამიანის მადლიერება, ვინაიდან: „ვინც იმ (უფლის) დღეზე ფიქრობს, უფლისათვის ფიქრობს; ვინც ჭამს, უფლისათვის ჭამს და მადლს სწირავს ღმერთს; ხოლო ვინც არა ჭამს, უფლისთვისვე არა ჭამს, და მადლობს ღმერთს." (რომაელთა14.6)

ლოცვა და კურთხევა კი, მადლიერების სუფრაზე ყოველგვარ "შეჭამადს" ესაჭიროება, როგორც ხორცს ისე ხილ-ბოსტნეულს.

რადგანაც კეთილია ღმერთის ყოველი ქმნილება და არ არის უარსაყოფი, თუკი მიიღება მადლიერებით, რადგან ღვთის სიტყვით და ლოცვით განიწმიდება (1ტიმ.4.4).

ამიტომაც სააღდგომო „აღვსების"(ზადიკი) საკითხავებში, „ლოცვა-კურთხევისათვის ყველისა და ხორცისა" გაფრთხილებაა მათვის, ვინც ძველი რჯულის პასექსა და ახალი აღთქმის მადლიერების ტრაპეზს შორის განსხვავებას ვერ წვდება: „უწყებულ იყავნ , რამეთუ ესევითარი ხორცი....არა არს პასექი, არცა კრავი, ვითარ იტყვიან რომელნიმე და შეიწყნარებენ... არამედ მარტივი(უბრალოდ) შეწირული, არცა ვითარცა მსხვერპლი ღვთისადმი, არამედ მხოლოდ კურთხეულ ჭამად შემდგომად მარხვისა....ლოცვითა მღვდლისა მიერ"

წმ. იოანე ოქროპირი, სააღდგომო სიტყვაში, მოუწოდებს ქრისტიანებს, რათა ყველამ განიცადოს ეს დიდებული დღე: „ მდიდარნი და გლახაკნი ურთიერთას იხარებდნენ, და მოღვაწენი და სულმოკლენი დღესა ამას პატივს სცემდნენ, რომელნიც იმარხა და რომელმან ვერ იმარხა, ყოველნივე ერთბაშად განსცხრებოდნენ, რამეთუ დღეს ტაბლა სავსე არს, იშვებდით ყოველნი, ზვარაკი ჭამებული მზა არს, ნურავინ წარვალს მშიერ. ყოველნი იშვებდით სერითა ამით სარწმუნოებითასა."

P. S. აღაპების გამოლვიძება ხაზგასმაა ჩვენი ეკლესიის ძირძველობისა, სამოციქულო მემკვიდრეობის და საეკლესიო ჩარჩოებში არსებული კიდევ ერთი „ტოლერანტობისა."

ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინენ.

03.04.2015.

ხელდასხმა

5 აპრილს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) დიაკვნად აკურთხა შავნაბადის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი იოსები (პეპინაშვილი).**

***

7 აპრილს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან თეიმურაზ ზამიაშვილს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა **ბერი ბასილი (ჩხიკვაძე).**

მღვდელი თეიმურაზი წნორის წმ. ილია მართლის სახელობის ტაძარში დაინიშნა.

ბერ-დიაკვანი ბასილი ხირსის წმ. სტეფანეს სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

11 აპრილს ბოდბის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან გიორგი სანამაშვილს.**

აღკვეცა

7 აპრილს შავნაბადის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **ბესარიონ გედენიძე** — სახელად ეწოდა **ზოსიმე, რევაზ ჭიჭილეიშვილი** — სახელად ეწოდა **ლაზარე, გიორგი მამთარეიევი** — სახელად ეწოდა **იოანე, არჩილ რუსია** — სახელად ეწოდა **სერაფიმე, ანტონ გოზალიშვილი** — სახელად ეწოდა **პავლე** და **გელა ბაჯუნაიშვილი** — სახელად ეწოდა **იობი.**

ბა ლოცვა როგორც მართლმადიდებელ გარდაცვლილთა სულების საოხად, ისე მშვიდობისათვის აღნიშნულ რეგიონში.

ყველას ვთხოვთ, იყვნენ უფრო კორექტულნი და წინდახედულნი, მით უმეტეს, როდესაც ასეთ ფაქიზ თემებს ეხებიან.

იუბილე

სოფელ ბაშის ღვთისმშობლის მიძინების და წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი იოანე კოხრეიძე 1950 წლის 22 აპრილს ქალაქ სამტრედიაში დაიბადა. 1993 წლის 19 იანვარს დიაკვნად აკურთხეს, 1993 წლის ნოემბერს — მღვდლად. ამჟამად იგი მოღვაწეობს ხონი-სამტრედიის ეპარქიაში, არის მიტრისა და გაბრწყინებული ჯვრის მატარებელი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი

ვულოცავთ ღვაწლმოსილ მოძღვარს დაბადებიდან 65 წელს, კვლავ მრავალი ემსახუროს დედაეკლესიისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აღკვეცა

4 აპრილს, მცხეთის წმიდა ეკატერინე-ოლღას სახელობის დედათა მონასტერში, მღვდელ-მონაზონმა **სერაფიმემ (ჯიქია)** მონაზვნად აღკვეცა მორჩილი **თეონა (შუბითიძე)** და სახელად **ეკატერინე** უწოდა.

***

5 აპრილს, მცხეთის ანტიოქიის სტეფანე პირველმოწამის სახელობის დედათა მონასტერში, მღვდელ-მონაზონმა სერაფიმემ (ჯიქია) მონაზვნად აღკვეცა მორჩილი ევგენია (ჭელიძე) და სახელად უწოდა **ანასტასია.**

***

9 აპრილს, მცხეთის ეკატერინე-ილღას სახელობის დედათა მონასტერში, მღვდელ — მონაზონმა **სერაფიმემ (ჯიქია)** მონაზვნად აღკვეცა მორჩილი **სალომე (გახარია)** და უწოდა **მარიამი.**

ხელდასხმა

19 აპრილს მარტყოფის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი მარტყოფის ღვთაების სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან ამბროსის (ქუთელია),** ხოლო დიაკვნად აკურთხა შავნაბადის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი თევდორე (ომსარაშვილი).**

საძირკვლის კურთხევა

18 აპრილს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. **ბოსლევის** წმ. ნინოს სახელობის ტაძრის საძირკველი.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი – 27.04.15. – ხელოვნება.

თემა: „მუზეუმი - ეროვნული საგანძურის კერა".

საუბარს წარმართავს მუზეუმთმცოდნე ნინო კოვზიაშვილი (16:00 სთ.).

სამშაბათი – 28.04.15. – ცნობილი ქართველი მწერლის გურამ დოჩანაშვილისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიების ორგანიზატორები: საინიციატივო ჯგუფი „ვიზრუნოთ პატარებზე", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი „ოდიში", ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი (16:00 სთ.).

ხუთშაბათი – 30.04.15. – ისტორია.

თემა: „რელიგიების ისტორია".

საუბარს წარმართავს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ფარეშიშვილი (16:00 სთ.).

პარასკევი – 01.05.15. – ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „ჯვარცმა და აღდგომა".

საუბარს ნარმართავს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი სხირტლაძე (16:00 სთ.).

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომა

სხდომა შედგება **5 მაისს,** 15 სთ-ზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში – VI კორპუსი, აუდიტორია №113.

სხდომაზე განხილული იქნება კრეაციული საზოგადოების წევრის გოჩა გიგაშვილის მოხსენება „წმინდა წერილი და კოსმოლოგია. თანხვედრა თუ წინააღმდეგობა?"

დასწრება თავისუფალია.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან"არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ალერგოლოგი — 24 აპრილს, 16.00-17.00 სთ.;

პულმონოლოგი და ფთიზიატრი — 25 აპრილს, 12.00-13.00 სთ.;

რწმენისა და ტრადიციების შენარჩუნება. ჩვენ მოვალე ვართ, მომავალ თაობებს გადავცეთ ჩვენი სულიერი ფასეულობანი... დღეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. აფხაზეთი და ცხინვალი — ღია ჭრილობებია საქართველოს სხეულსა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის გულზე. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს. ამის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს ნორმალური ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის. ვფიქრობ, თქვენი ვიზიტი კეთილ ნაყოფს გამოიღებს; მე მას შევაფასებდი, როგორც მშვიდობის საწინდარს, რომელსაც დადებითი შედეგები ექნება."

ბელარუსის პრეზიდენტმა მადლობა მოახსენა პატრიარქს გულთბილი მიღებისთვის და ქართველი და ბელარუსი ერების ძმურ კავშირებზე ისაუბრა: „ჩვენი ერები მუდამ ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ბელარუსი ხალხი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველომ ძალიან მალე გადაშალოს ისტორიის ის მტკივნეული ფურცელი, რომელზეც თქვენ ისაუბრეთ. დიდი სურვილი გვაქვს, რომ გაღრმავდეს ეკონომიკური ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის. მოხარული ვარ, რომ ამ მიზნით ჩვენ უკვე გადავდგით შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები... უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, მინდა იცოდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახით საქართველოს ევროპის შუაგულში ჰყავს გულითადი მეგობარი."

შეხვედრაზე ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები შეასრულა სიონის საპატრიარქოს ვაჟთა გუნდმა.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სტუმრებს მოასმენინა მის მიერ დაწერილი საგალობელი — „ავე მარია".

შეხვედრის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და ბატონმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

იმავე დღეს საქართველოს ეკლესიის მეთაურმა და ბელორუსის პრეზიდენტმა, თანმხლებ პირებთან ერთად, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი მოილოცეს.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი – 30.04.15. – ისტორია.

თემა: „რელიგიების ისტორია".

საუბარს წარმართავს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ფარეშიშვილი (16:00 სთ.).

პარასკევი – 01.05.15. – ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „ჯვარცმა და აღდგომა".

საუბარს წარმართავს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი სხირტლაძე (16:00 სთ.).

დაჯილდოება

27 აპრილს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სურამისა და ხაშურის ეპარქიის სამღვდელოება:

დეკანოზი ილია გოგალაძე — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელ-მონაზონი ზოსიმე (ბერაძე) — ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით;

მღვდელ-მონაზონი ლუკიანე (გერაძე) — ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით.

ხელდასხმა

26 აპრილს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) დიაკვნად აკურთხა შავნაბადის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი პეტრე (ვეფხვაძე).**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ დმანისისა და აგარის ეპარქიის მმართველს და ბრიტანეთის ქართული სამრევლოების ხელმძღვანელს, ეპისკოპოს ზენონს (იარაჯული) გარდაეცვალა დედა — მარიამი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **მარიამის** სული.

ვიყავით და დედა სულ შეგვაგონებდა: რაც უნდა გაგიჭირდეთ, არავითარ შემთხვევაში არ წახვიდეთ საცხოვრებლად უცხოეთშიო! როგორც შენი ერი ცხოვრობს, შენც ისე უნდა იცხოვრო, მისი ჭირი და ლხინი უნდა გაიზიაროო. და კიდევ, გვარიგებდა, უნდა იშრომოთ, გახსოვდეთ, სიღარიბემ შეჩვევა იცის და არ უნდა მიეჩვიოთო. არ უნდა შევეჩვიოთ სიღარიბეს! უნდა ვიშრომოთ, ვილოცოთ, შევთხოვოთ უფალს და უფალი მოგვხედავს ჩვენ, უფალი ლოცავს საქართველოს და უფალი გაამთლიანებს ჩვენს ქვეყანას!

ჯვარი გეწეროთ! მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა! მშვიდობა და მთლიანობა უბოძოს უფალმა საქართველოს, ჩვენს სამშობლოს!

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 3 ოქტომბერი, 2010 წ.

***

ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და უცხოეთში მცხოვრებნო ჩვენო სულიერო შვილებო!

გარდა სულიერისა, სიძნელეები სხვაც მრავლად გვაქვს: მასიური უმუშევრობა, ჩვენი მოსახლეობის უცხოეთში მიგრაცია, საშუალო და უმაღლესი განათლების დაბალი დონე, პატიმრების რიცხვის ზრდა, საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის, სოფლის მეურნეობის პრობლემები...

მეტად სამწუხაროა, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, ერის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებიც ემატება. როგორც ცნობილია, XIX ს-ის ბოლოს მეფის რუსეთის იმპერიაში შემუშავდა „მეცნიერული" კონცეფცია („დაყავი და იბატონეს" პრინციპის გათვალისწინებით) საქართველოში მეგრულ-ლაზურ-ქართულ-სვანური ენებისა და კულტურების დამოუკიდებლად არსებობის შესახებ.

ეს პროცესი მეტ-ნაკლებად ფარულად კვლავაც მიმდინარეობს და, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ უცხო ქვეყნების ინტერესებს ემსახურება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, დავიცვათ ჩვენი ერთობა, ისევე როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები, ოღონდ როგორც დიდი ილია ამბობს, დღეს არის არა ხმლის, არამედ წიგნისა და კალმის ომი.

პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა საზოგადოების ძალისხმევა, რათა შეიქმნას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია და ვებგვერდები, რომლებიც სათანადო პასუხს გასცენ როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ისე ქართველი ერის დაშლის მოსურნეთ. ამ საქმეში დიდი სამსახური შეიძლება გაწიონ უცხოეთში მყოფმა ჩვენმა თანამემამულეებმა; მათ ვებგვერდები იმ ენაზე უნდა გააკეთონ, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობენ, ამით ისინი სამშობლოს ინტერესებს შესაძლებლობისამებრ დაიცავენ.

2011 წლის საშობაო ეპისტოლე
მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

ხელდასხმა

5 ივლისს უბისის წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) **მღვდლად** დაასხა ხელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვახანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელი ხატის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარ, **ბერ-დიაკვან მიქაელს (აბაშიძე).**

***

5 ივლისს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) **დიაკვნად** აკურთხა ამავე ტაძრის მედავითნე **ზურაბ დავითაშვილი.**

***

5 ივლისს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სემინარიისა და აკადემიის კურსდამთავრებულს, თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის (სამტრედიის ქ.) **დიაკონ გიორგი ხანთაძეს.**

მღვდელი გიორგი იმავე ტაძარში იმსახურებს.

* * *

12 ივლისს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) მღვდელ-მონაზვნად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **ბერ-დიაკონ პანტელეიმონს (ჩიტორელიძე).**

მღვდელ-მონაზონი პანტელეიმონი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათადრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

20 ივლისს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, რუსთავის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის (ბოგდან ხმელნიცკის ქ.) **დიაკონ გიორგი ჯაფარიძეს** (მღვდელი **გიორგი** იმავე ტაძარში იმსახურებს);

ასევე დიაკვნად დაასხა ხელი **ზაქარია პაპიაშვილს (დიაკონი ზაქარია** თბილისის ზემო ბეთლემის ტაძარში იმსახურებს).

საერთოდ, იგი საჯაროდ არასოდეს აფიქსირებს თავის პირად პოზიციას და არ სარგებლობს არც ერთი სოციალური ქსელით.

ასე რომ, ამ შემთხვევაშიც მორიგ სიცრუესთან გვაქვს საქმე.

11 მაისი, 2015 წელი

დაჯილდოება

10 მაისს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ორი სასულიერო პირი:

იტალიაში მოღვაწე არქიმანდრიტი სერაპიონი (გრიგოლიშვილი) — მეორე გამშვენებული ჯვრით;

მღვდელ-მონაზონი მირიანი (შენგელია) — ილუმენის წოდებითა და ოქროს ჯვრით.

პატრიარქმა დალოცა

10 მაისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა:

— შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და მისი თავმჯდომარე ბატონი გურამ ტომარაძე;

— ფოლკლორული ანსამბლი „მერანი" და მისი სამხატვრო ხელმძღვანელები: თეიმურაზ კობახიძე და ნინო ლაზიშვილი;

— შემდეგი გვარები: გაბელდანი, გეგელია, კოტეტიშვილი, მეტივიშვილი, ნაცვლიშვილი, საკანელაშვილი, სორდია და ხორავა.

— გურიის სოფელი ასკანა და განსაკუთრებით მისი მკვიდრნი გოჩა, ზურაბ და ჯიმშერ ჩხაიძეები (სოფელს პატრიარქისგან საჩუქრად აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი გადაეცა).

გუნდ „იალონის" კონცერტი დიდ საკონცერტო დარბაზში

29 აპრილს, კონსერვატორის დიდ დარბაზში დიდი წარმატებით ჩატარდა გუნდ „იალონის" კონცერტი (ხელმძღვანელი ნინო ნანეიშვილი), რომელზეც წარმოადგინეს ტრადიციული მუსიკალური ნიმუშები ადამიანის დაბადებიდან - გარდაცვალებამდე, გარკვეული სიუჟეტურობით, რიტუალებითა და დადგმებით.კონცერტმა დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

.

ეძებენ დაკარგულს

ოჯახი ეძებს 44 წლის თამაზ გუდაძეს. იგი 183 სმ სიმაღლისაა და აქვს მწვანე თვალები.

ოჯახის წევრთა აზრით, შესაძლოა, იგი იმყოფებოდეს რომელიმე მონასტერში. თუ ვინმეს გაქვთ რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ პირთან დაკავშირებით, გთხოვთ, შეატყობინოთ ოჯახს.

საკონტაქტო პირი — ზვიადი. ტელეფონის ნომერი: 557575761.

სახარების განმარტება

მე-6 კვირა აღდგომიდან

ბრმის კვირა

ჩვენი დროის მთავარი უბედურება ადამიანების სულიერი სიბრმავეა

(იოან. 9, 1–38)

დღეს არის აღდგომიდან მე-6 კვირა, რომელსაც ეკლესია „ბრმის კვირას" უწოდებს. დღევანდელ მსოფლიოში საკმაოდ წინ წავიდა მეცნიერება და ტექნიკა, რომელთა დახმარებით მრავალი ადამიანი ძლევს სნეულებებს, მაგრამ დღემდე აღტაცებას იწვევს წარმატება იმ ექიმებისა, რომლებსაც შეუძლიათ მხედველობა აღუდგინონ ადამიანებს, განსაკუთრებით ბრმად შობილებს, ანუ მათ, ვისაც ნათელი არასოდეს უხილავთ!

თვალები დავხუჭოთ და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ იმას, რაც ადრე გვინახავს, მეტად ვეღარასოდეს ვნახავთ, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება გაუნათებელი ბნელი იქნება ჩვენთვის... ამ დროს საშინელება დაისადგურებს ჩვენს გულებში, მაშინვე გავახელთ თვალს, რათა გავიხაროთ ნათლით და არც კი დავფიქრდებით, რომ ეს ღვთის საჩუქარია! მაგრამ გვაშინებს კი ის, რომ ვერ ვიხილავთ ღმერთს, ვერ შევიგრძნობთ მას ჩვენი სულიერი ხედვით?

სწორედ ამაზე დასაფიქრებლად მოგვიწოდებს დღევანდელი სახარებისეული საკითხავი, რომელსაც საღვთო ლიტურგიაზე ვისმენთ.

უფალმა აღასრულა დიდებული სასწაული და დაბადებით ბრმა ადამიანი განკურნა. ამ სასწაულის შესახებ მოგვითხრობს მხოლოდ ერთი მახარებელი — იოანე. იუდეველებთან საუბრის შემდეგ, შესაძლებელია იქვე, ტაძარში, უფლის მოწაფეებმა იხილეს მოწყალების მთხოვნელი ბრმა. მათ იცოდნენ, რომ ეს ადამიანი ბრმა იყო დაბადებიდან და დაინტერესდნენ კითხვით: **„რაბი, ვინ სცოდა? ამან თუ ამისმა მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა?"**

იუდეველებს სწამდათ, რომ ყოველი უბედურება არის სასჯელი საკუთარი ცოდვებისათვის ან მშობლებისა და წინაპრების უღვთო ქმედებისა, რაც მოსეს სჯულს ეფუძნებოდა. რაბინები ასწავლიდნენ, რომ ბავშვმა შეიძლება ჯერ კიდევ საშოში მყოფმა სცოდოს, ვინაიდან მუცლადღებიდანვე

ხატი „წმინდა ოჯახი" კვლავ ჯვრისმამის ტაძარს დაუბრუნდა

წირვის დასასრულს, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ჯვრის მამის წინამძღვარმა, დეკანოზმა ტიმოთე ნიკლაურმა და სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებმა ხატი „წმინდა ოჯახი" სამებიდან ჯვრისმამის ტაძარში გადააბრძანეს. ეს სიწმინდე 1846 წელს დიმიტრი და თამარ ავალიშვილებმა ჯვრისმამის ტაძარს შესწირეს. მას შემდეგ ხატმა ადგილი შეიცვალა. ბოლოს ხატი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იყო დაბრძანებული. 24 მაისს, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ხატი კვლავ ჯვრის მამის ტაძარს დაუბრუნდა.

საზეიმო წირვა შიომღვიმეში

22 მაისს, წმინდა შიო მღვიმელის ხსენების დღეს, აგარაკ-წალკის ეპისკოპომა გრიგოლმა (კაცია) სადღესასწაულო წირვა აღავლინა შიომღვიმის მამათა მონასტერში.

ტაძრის კურთხევა და დაჯილდოება

17 მაისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. კეხიჯვრის სამი მღვდელმთავრის სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრად **მღვდელიგაბრიელ ჩადუნელი** დაინიშნა. ამავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით მღვდელი გაბრიელი ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა.

აღკვეცა

7 მაისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა რუისის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის წევრი **ნინო შუბლაძე** და სახელად **ელისაბედი** უწოდა (წმ. ელისაბედ კონსტანტინეპოლელ ილუმენიას სახელზე).

***

18 მაისს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის **ბერ-დიაკვანი ექვთიმე (ძამაშვილი)** და სახელად ისევ **ექვთიმე** უწოდა (წმ. ექვთიმე დიდის სახელზე).

ხელდასხმა

10 მაისს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის საძმოს წევრი **ბერი დომენტი (აგუმავა).**

***

17 მაისს ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. კეხიჯვრის სამი მღვდელმთავრის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან ბასილ ხუჭუას** და ამავე ტაძრის მღვდელმსახურად დაადგინა.

***

21 მაისს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან იაკობ მესტვირიშვილს** და ამავე ტაძრის მღვდელმსახურად დაადგინა.

***

26 მაისს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **სქემბერ-დიაკვან ექვთიმეს (ძამაშვილი).**

მადლი საკვირველებას აღასრულებს და ღმერთი იცნობა

მთავარეპისკოპოს ათანასე ალექსანდრიელის საკითხავი სულთმოფენობის დღისა და სულიწმინდის მოსვლის შესახებ

მადლი, რომელმაც დღეს ენები გაყო, შიშს არ ტოვებს იმისა, რომ ენა ღარიბია, რადგან მან უმეცარნი მთელი სამყაროს მოძღვრები გახადა და თევზის ბრძენი მონადირენი სამყაროს ბრძენთა სამხილებლად წარგზავნა. სადაა ერის სიმრავლე, რომელიც სნეული იყო კერპთა მორჩილებით და ისწრაფა სარწმუნოების მშვენიერებისაკენ? საიდან შეიტყვეს, რომ ეშმაკნი მონობენ მრავალ უფალს? საიდან ძლევდა მოწაფეთა მცირე რიცხვი ეშმაკთა და კაცთა გუნდს, ცეცხლის მადლით თუ არ შეიარაღდებოდა? დღეს ამოდუღდა მადლის წყაროები ცეცხლის სახედ, მისი ალი რბის და საამურ ჰაერს მოჰფენს სული მადლისა.

ახარა ქრისტემ მოწაფეებს და უთხრა: *არ დაგტოვებთ ობლად* (იოან. 14, 18) და *ვთხოვ მამას და მოგვლენთ თქვენ სხვა ნუგეშისმცემელს* (იოან. 14, 16). რადგან უფლის ზეცად აღსვლა თავდები გაგვიხდა სულიწმინდის მოსვლისა, ამიტომ საჭიროა მათ, რომელთაც მსხვერპლად შეეწირა ძე, შეიწყნარონ სული წმინდა, რათა წინ გაუსწროს ღვთის შეცნობის ცოდნამ მის აღსრულებას. ღვთის ძემ, როდესაც კაცობრივი ბუნება მიიღო და თავს იდვა მონობის ხატის შემოსვა, ადამიანები წმინდა სულის მისაღებად გაამზადა. *კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ვეღარ იტვირთავთ. ხოლო როდესაც მოვა იგი, ჭეშმარიტების სული, წაგიძღვებათ ყოველი ჭეშმარიტებისაკენ* (იოან. 16, 12-13). ჩემს შემდეგ მოვა ის, ვინც ჩემნაირია ხელმწიფებით. მამისაგან მოვა ის, ვინც მამის თანასწორია არსებით. ხოლო ვი-

ბული იყოს ერთსქესიანთა ქორწინება. ეს დიდი შეცდომაა და ამას აცხადებენ თვითონ ამერიკელი სასულიერო პირები. ჩვენც ვადასტურებთ და ვამბობთ, რომ ეს არის დიდი შეცდომა.

ქართველმა ადამიანმა უნდა გაარჩიოს, სად არის კეთილი და სად - ბოროტი, რა არის მისაღები და რა - მიუღებელი. შევთხოვთ უფალს, რომ უფალმა გაგვიხსნას გონება, გახსნას ჩვენი გულები და სწორედ გულმა დაინახოს კეთილი და ბოროტი და გაარჩიოს ისინი.

„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით, ამინ!"

დღეს ჩვენ ვაჯილდოებთ სასულიერო პირებს:

იღუმენი მატათა (ტყემალაძე) აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში;

იღუმენი აბო (ჩაჩუა) აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში;

მღვდელ-მონაზონი თადეოზი (თანდაშვილი) აღყვანილია იღუმენის ხარისხში.

დღეს ჩვენ ვლოცავთ ორ გვარს — ამერიძეებსა და მანუჟაშვილებს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, გაგამრავლოთ, სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

დაჯილდოება

28 ივნისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

იღუმენი **მატათა (ტყემალაძე)** — არქიმანდრიტის წოდებით;

იღუმენი **აბო (ჩაჩუა)** აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში;

მღვდელ-მონაზონი **თადეოზი (თანდაშვილი)** — იღუმენის წოდებით.

აღკვეცა

20 ივნისს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **გიორგი კვარაცხელია** და სახელად **თევდორე** უწოდა.

* * *

26 ივნისს ბერმუხის წმინდა მერკვირის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **პეტრე ტატიშვილი** და სახელად **პროხორე** უწოდა.

* * *

28 ივნისს ყინწვისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა მორჩილი **მარიამ ცინცაძე** და სახელად **ივლიტა** უწოდა.

თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის განცხადება

ა(ა)იპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია" 2015—2016 წლისთვის აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- **ბიბლეისტიკა:**

მოდული ა) ძველი აღთქმა - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი, მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი);

მოდული ბ) ახალი აღთქმა - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი.

- პატროლოგია - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე.

- **ეკლესიის ისტორია:**

მოდული ბ)საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

- **კანონიკური სამართალი** - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი გიორგი ანდრიაძე.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრის ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონათესავე დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის მიღების საკითხს წყვეტს სამეცნიერო საბჭო. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სწავლება უფასოა.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს რექტორის სახელზე შეაქვს განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

გამოგვივა. ინტელექტუალური და ფიზიკური შრომა საჭირო და აუცილებელია. საკუთარ თავს მოსვენება არ უნდა მივცეთ, ყველაფერი უნდა ვაკეთოთ იმისათვის, რომ პროდუქტებისა თუ სხვა საქონელის სიუხვე იყოს საქართველოში.

ღმერთმა ისეთი სამშობლო მოგვცა, რომ ჩვენზე ბედნიერი არავინ უნდა იყოს დედამიწაზე!

ამ ბოლო დროს ხშირი შემთხვევაა, როცა ჩვენს ქვეყანაში მკვდარი ჩვილები იბადებიან. ეს იმის ნიშანია, რომ არ არის სათანადო ყურადღება მედპერსონალის მხრიდან. მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო ჯანდაცვის მინისტრი. ვიცი, რომ მან ბევრი გააკეთა და დღესაც ბევრს აკეთებს ხალხისთვის, მაგრამ, ალბათ, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მშობიარე დედებს, რომ მკვდრადშობილი ჩვილების რიცხვი შემცირდეს.

ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს, ღმერთმა მოგვანიჭოს სულიერი და ფიზიკური ძალა, რათა გავუძლოთ ამ განსაცდელებს, გავუძლოთ კრიზისებს, ამინ!

ღმერთმა დაგლოცოთ და ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, ამინ!

დღეს ჩვენ ვაჯილდოებთ ჩვენს სამღვდელოებას:

იღუმენი იოანე (კალანდია) დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

დეკანოზი გიორგი პაპიაშვილი დაჯილდოებულია **მიტრის** ტარების უფლებით;

დეკანოზი თადეოზ გაბუნია დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრით და მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ილია ხომასურიძე დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრით;

დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრით;

მღვდელი ცოტნე ცხვარაძე დაჯილდოებულია დეკანოზის ხარისხით;

მღვდელი გიორგი ასათიანი დაჯილოდებულია დეკანოზის ხარისხით.

აქსიოს!

ყველა დაჯილდოებულებს ვულოცავთ ამ მაღალ წოდებას! ღმერთმა კეთილად ამსახუროს ისინი საქართველოს ეკლესიასა და ქართველ ხალხს!

შეგახსენებთ, რომ მომავალ კვირას არის პეტრეპავლობა. ჩვენ გვაქვს პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარი და იქ საზეიმო წირვას შეასრულებს მეუფე გრიგოლი. ჩვენ კი საზეიმო წირვას აღვავლენთ აქ, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში.

ორშაბათს არის სვეტიცხოვლობა — თორმეტი მოციქულის, უფრო სწორედ, ცამეტი მოციქულის ხსენება. ცამეტის იმიტომ, რომ მათ შორის წმინდა პავლე მოციქულიც იხსენიება. მაშასადამე, არის სვეტიცხოვლის ტაძრის დღესასწაული, რადგან სვეტიცხოველი აშენებულია ქრისტეს თორმეტი მოციქულის სახელზე.

საზეიმო ლოცვა სვეტიცხოველში დაიწყება კვირას, საღამოს 7 საათზე. იქ, ასევე აღესრულება ღამისთევით მსახურება. ორშაბათს დილით კი ჩვენ აღვავლენთ საზეიმო წირვას.

ღმერთმა დაგლოცოთ და ბედნიერი პეტრეპავლობა გაგითენოთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

დაჯილდოება

5 ივლისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **იღუმენი იოანე (კალანდია);**

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი პაპიაშვილი;**

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — სოფ. პატარა გლდანის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი თადეოზ გაბუნია;**

გამშვენებული ჯვრით — თბილისის მაცხოვრის მირქმის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ილია ხომასურიძე;**

გამშვენებული ჯვრით — კიკეთის წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — თბილისის წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის (რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზო) მღვდელმსახური, **მღვდელი ცოტნე თვარაძე;**

ოქროს ჯვრით და დეკანოზის წოდებით — მეტრომშენის დასახლების წმ. იოაკიმ და ანას სახე-

ლობის მშენებარე ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი გიორგი ასათიანი.**

ხელდასხმა

5 ივლისს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) **დიაკვნად** აკურთხა ამავე ტაძრის მედავითნე **ზურაბ დავითაშვილი.**

***

5 ივლისს უბისის წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) **მღვდლად** დაასხა ხელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვახანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელი ხატის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარ, **ბერ-დიაკვან მიქაელს (აბაშიძე).**

***

7 ივლისს ზესტაფონის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის **დიაკვან გაბრიელ კურტანიძეს.**

მღვდელი გაბრიელი ხიდარის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

მორჩილის კაბით შემოსვა

5 ივლისს უბისის წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მორჩილის კაბით შემოსა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **თეიმურაზ გუმბერიძე.**

თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის განცხადება

ა(ა)იპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია" 2015—2016 წლისთვის აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

• **ბიბლეისტიკა:**

მოდული ა) ძველი აღთქმა - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი, მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი);

მოდული ბ) ახალი აღთქმა - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი.

• პატროლოგია - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე.

• **ეკლესიის ისტორია:**

მოდული ბ)საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

• **კანონიკური სამართალი** - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი გიორგი ანდრიაძე.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრის ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონათესავე დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის მიღების საკითხს წყვეტს სამეცნიერო საბჭო. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სწავლება უფასოა.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს რექტორის სახელზე შეაქვს განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. თეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
4. მოძღვრის რეკომენდაცია;
5. შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა და მისი რეცენზია დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ რეფერატზე ან გამოქვეყნებულ ნაშრომზე;
6. დოქტორანტობის კანდიდატის საბუთების მიღების საკითხს წყვეტს თსას-ის სამეცნიერო საბჭო;
7. 2 ფოტოსურათი (3×4) დისკთან ერთად.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. პატროლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

ა) პატროლოგია (ზეპირი);

ბ) უცხოური ენა (წერითი).

2. ბიბლეისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ორივე მოდული:

ა) ძველი აღთქმა (ზეპირი);

ბ) ახალი აღთქმა (ზეპირი);

გ) უცხოური ენა (წერითი).

3. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამა:

ა) ეკლესიის ისტორია (ზეპირი);

დღესასწაული და სვეტიცხოვლობა. დღეს საღამოს, 7 საათზე, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაიწყება საზეიმო ლოცვა და სწორედ ამ დროისთვის ჩამოვა წმინდა ნინოს გზიდან მომლოცველთა ჯგუფი, რომელმაც ოცდამეშვიდეჯერ გაიარა გზა ფარავნის ტბიდან სვეტიცხოვლამდე.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ მრავალი განსაცდელის წინაშე ვდგავართ დღეს, მაგრამ არ უნდა შეგვეშინდეს. ყველაფერი დამშვიდდება და თავის ადგილზე დადგება.

დღეს ჩვენ ვლოცავთ შემდეგ გვარებს: ბართაიებს, კორსანტიებს, გიგლებიანებს, კვეკვეციანებს, ხარაზიშვილებს, სულაშვილებს, სუნგულაშვილებს, გაბურებს, შვიძეებს, საზუაშვილებს, ტაბატაძეებს, ბენიებს, გაბელიებს, თორაძეებსა და ტორაძეებს.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგამრავლოთ, გაგაძლიეროთ და სამშობლოს სამსახურის ძალა მოგცეთ სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება
14.07.2015

ცნობილი გახდა, რომ ახლახან ე.წ. სამხრეთ ოსეთთან არსებული დეფაქტო საზღვრის ხაზი კვლავ გადმოიწია.

ეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მიტაცების უკვე მერამდენე მცდელობაა. არაერთხელ აღგვინიშნავს და კვლავ გავიმეორებთ, რომ ასეთი ნაბიჯები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დიდ შეცდომად და ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების უფრო აქტიური ჩართულობა, რომ საქართველომ შეძლოს თავი დაიცვას მსგავსი შემოტევებისაგან.

რაც შეეხება სამაჩაბლოს ტერიტორიაზე არსებულ ჩვენს ეკლესია-მონასტრებს, სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, თირის XV ს-ის უნიკალური ფრესკები ნაწილობრივ დაზიანდა, გადაკეთდა ცხინვალის ღვთისმშობლის ეკლესიაც. ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულება სირცხვილია ნებისმიერი საზოგადოებისათვის.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, აღნიშნულმა ფაქტებმა ცხინვალის ინტელიგენციაშიც უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია, რაც გვაძლევს იმედს იმისას, რომ საშიშროება, რომელიც, სავარაუდოდ ემუქრებოდა სხვა ქართულ ტაძრებსაც იკორთას, არმაზს, ყაჩაეთს, გომართას რეალობად არ იქცევა.

ამასთან, ჩვენ ვთხოვთ იუნესკოს საერთაშორისო ორგანიზაციას, დაგვეხმარონ, რათა ჩვენ მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე არსებულ ეკლესია-მონასტრებზე გაწიონ ზედამხედველობა, რათა მსგავსი ქმედებები აღიკვეთოს.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სვეტიცხოველში

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა, რომელმაც საქართველოში მოღვაწეობა დაასრულა სვეტიცხოველში პატრიარქის მიერ ქადაგებისას მისი ხსენების გამო, მადლიერებას გამოთქვა. ამერიკის ელჩმა განაცხადა, რომ საქართველოში სამსახურის დროს ყველაზე მეტად მისთვის ალბათ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ საშუალება მიეცა გაცნობოდა მის უწმინდესობას და გაეგო თუ „რამდენად დიდ როლს იგი თამაშობს ქართულ საზოგადოებაში და რამდენად აფასებენ მას ქართველები. ძალიან დიდი პატივი იყო ჩემთვის ის, რომ დღეს პატრიარქმა ქადაგებისას ახსენა ჩემი და ჩემი მეუღლის გამგზავრების შესახებ. პატრიარქი არის დიდი ადამიანი, ჭეშმარიტად დიდი სასულიერო ლიდერი ქართული მართლმადიდებელი თემისა", - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

პატრიარქი გერმანიაში გაემგზავრა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II გერმანიის ქალაქ ბერლინში გაემგზავრა, სადაც იგი ერთ-ერთ კლინიკაში ხანმოკლე 10-14 დღიან რეაბილიტაციის კურსს გაივლის და გეგმური პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდება. გერმანელი ექიმები კათოლიკოს-პატრიარქს ერთი თვით ადრე ელოდებოდნენ, მაგრამ თბილისში განვითარებული სტიქიური მოვლენების გამო, გერმანიაში პატრიარქის გამგზავრება გადაიდო.

ხელდასხმა

5 ივლისს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრის **დიაკონ ლუკა ბითაძეს**.

მღვდელი ლუკა იმავე ტაძარში იმსახურებს.

* * *

7 ივლისს ნორიოს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი კრწანისის ტყე-პარკში არსებული მამათა მონასტრის წინამძღვარ **ბერ-დიაკვან დავითს (კემულარია).**

მღვდელ-მონაზონი დავითი დროებით თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში იმსახურებს.

დაჯილდოება

5 ივლისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **იღუმენი იოანე (კალანდია);**

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი პაპიაშვილი;**

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — სოფ. პატარა გლდანის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი თადეოზ გაბუნია;**

გამშვენებული ჯვრით — თბილისის მაცხოვრის მირქმის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ილია ხომასურიძე;**

გამშვენებული ჯვრით — კიკეთის წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — თბილისის წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის (რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზო) მღვდელმსახური, **მღვდელი ცოტნე თვარაძე;**

ოქროს ჯვრით და დეკანოზის წოდებით — მეტრომშენის დასახლების წმ. იოაკიმ და ანას სახელობის მშენებარე ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი გიორგი ასათიანი.**

***

12 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ამავე ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე** ეკლესიაში ერთგული მსახურებისთვის დააჯილდოვა **მიტრის ტარების უფლებით.**

* * *

12 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ეკლესიაში ერთგული მსახურებისთვის **ოქროს ჯვრით** დააჯილდოვა და **იღუმენის ხარისხში** აღიყვანა სოფ. სამთაწყაროს წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი იაკობი (ჩიქობავა).**

მორჩილის კაბით შემოსვა

5 ივლისს უბისის წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მორჩილის კაბით შემოსა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **თეიმურაზ გუმბერიძე.**

სახარების განმარტება

მე-8 კვირა სულთმოფენობიდან

მხოლოდ ღმერთს შეუძლია ადამიანის დაპურება და დარწყულება

გამოვიდა იესო, დაინახა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი, რადგანაც იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვრები; და დაიწყო მათთვის მრავალი რამის სწავლება. და რაკი დიდმა დრომ განვლო, მოწაფეები მივიდნენ და უთხრეს მას: უდაბურია ეს ადგილი და თანაც გვიანია უკვე; გაუშვი ისინი, რათა წავიდნენ ახლომახლო სოფლებსა თუ დაბებში პურის საყიდლად, ვინაიდან არაფერი აქვთ საჭმელი. ხოლო მან პასუხად თქვა: თქვენ თვითონ მიეცით საჭმელი. მათ უთხრეს: რა ვქნათ, წავიდეთ, ვიყიდოთ ორასი დინარის პური და ამათ მივცეთ საჭმელად? მან კი იკითხა: რამდენი პური გაქვთ? წადით და ნახეთ. მათაც ნახეს და მოახსენეს: „ხუთი პური და ორი თევზი". მაშინ უბრძანა მათ, მწვანე მდელოზე ჯგუფ-ჯგუფად დაესხათ ხალხი. და დასხდნენ რიგ-რიგად. ას-ასი და ორმოცდაათ-ორმოცდაათი. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცად აღაპყრო თვალნი, აკურთხა, დატეხა პურები და მისცა თავის მოწაფეებს, რათა ჩამოერიგებინათ მათთვის; და ორი თევზიც უნილადა ყველას. ყველამ ჭამა და გაძღა. და გაავსეს პურისა და თევზის ნარჩენებით თორმეტი კალათი. ხოლო იყო პურის მჭამელი ასე ხუთი ათასამდე კაცი (მარკ. 6. 34-44).

პურის გამრავლების სასწაული, რომლის შესახებაც დღეს სახარებაში ვკითხულობთ, უპირველესად გვასწავლის, რომ უფალი გამოგვკვებავს, გამოგვზრდის, დაგვარწყულებს მაშინაც კი, თუკი ადამიანური თვალთახედვიდან გამომდინარე, სულ არაფერი გვაქვს ან თითქმის არაფერი. ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი ღვთის ხელშია და ჩვენი საკვები, ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ პურს არსობისა, — ასევე მის ხელთაა. ხდება ხოლმე, რომ ხანდახან ჩვენი სახლი პურითა და სასმელ-საჭმელითაა გადავსებული, ხანდახან მხოლოდ ხუთი პური და ორი თევზი გვრჩება. უფალი კი მარად აქაა და მზადაა ჩვენს გამოსაზრდელად, ის ყოველთვის უხვია, რათა არავინ დარჩეს მშიერი, ყველა დაპურდეს.

ეს შეიძლება ითქვას არა მხოლოდ ხორციელ საკვებთან დაკავშირებით, არამედ სულიერზეც. ადამიანისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა, რათა ბედნიერი იყოს და სული სავსე ჰქონდეს; მას სჭირდება თავად ღმერთი, რადგან ღმერთმა ადამიანი შექმნა ისეთი, რომ მისი სული

ოდნენ, - თუ რაღაც მშვიდობიანი იყო — არა. XX საუკუნე ის საუკუნეა, რომელშიც დახვრიტეს რუსეთის იმპერატორის მთელი ოჯახი და მრავალი სხვა ადამიანი. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ღმერთმა ეს ადამიანის ცოდვების გამო დაუშვა. მე მითქვამს თქვენთვის და მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო, - არსებობს ღვთისმეტყველების ისტორია, მაგრამ არ არსებობს ისტორიის ღვთისმეტყველება. რუსეთში იყო ერთი ისტორიკოსი, მანსუროვი, რომელიც შეეცადა, დაეწერა ისტორია ღვთისმეტყველების გაგებით, თუ რატომ დაუშვა უფალმა ეს საშინელი მოვლენა და რა მოხდა XX საუკუნეში.

რა თქმა უნდა, ამ სიბნელეში, ამ საშინელ ბოროტებაში აქა-იქ სინათლეც ჩანდა, როგორც ულრან ტყეში შუაღამისას, სადღაც ანთებული სანთელი გამოჩნდება. აი, ასეთი ადამიანებიც მრავალი იყო, იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავისი რწმენის, იდეების, სიმართლის გულისთვის თავისუფლად მიდიოდნენ სიკვდილზე, არ ეშინოდათ სიკვდილის. მათ სწამდათ, რომ სიმართლისა და რწმენისათვის უფალი მიიღებდა მათ სულებს. როცა ჩვენ ვაანალიზებთ XX საუკუნეს, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროს ეკლესია უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო, მრავალი ტაძარი დანგრეული და მრავალი ადამიანი რეპრესირებული, დახვრეტილი იყო. ამ პერიოდში ბოროტება თითქოს ზეიმობდა, მაგრამ საოცრება ხდებოდა, ის, ვინც ამას აკეთებდა, შემდეგ თავად იყო მსხვერპლი სხვა ბოროტი ადამიანებისა, და მათაც ის ელოდათ, რასაც თვითონ უკეთებდნენ სხვებს. საბოლოოდ მაინც სიკეთე იმარჯვებდა. სიკეთე მუდამ იმარჯვებს!

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

24 ივლისი, 2015 წელი

როგორც ცნობილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამჟამად იმყოფება გერმანიაში, სადაც მას გეგმიური გამოკვლევები და სარეაბილიტაციო მკურნალობა უტარდება.

კორონაროგრაფიით გამოიკვეთა, რომ საჭირო იყო დამატებითი ინვაზიური სამკურნალო ჩარევა გულის სისხლძარღვებზე.

პროცედურამ წარმატებით ჩაიარა. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თბილისში, სავარაუდოდ, ხუთშაბათს დაბრუნდება.

ხელდასხმა

26 ივლისს ქვემო თელეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის მედავითნე **ლევან აბულაძე** და სახელად გაბრიელი უწოდა.

დიაკვანი გაბრიელი ქვემო თელეთის ღვთისმშობლის ხარების ტაძარში იმსახურებს.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" 28-ში, 7-ე გვერდზე გაიპარა სამწუხარო შეცდომა. 12 ივლისს ოქროსჯვრით და იღუმენის ხარისხით დაჯილდოვდა მღვდელ-მონაზონი იაკობი (ჩაგუნავა). შეცდომით წერია ჩიქობავა.

შენდობას ვიხდით უნებლიე შეცდომისათვის.

თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის განცხადება

ა(ა)იპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია" 2015—2016 წლისთვის აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- **ბიბლეისტიკა:**

მოდული ა) ძველი აღთქმა - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი, მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი);

მოდული ბ) ახალი აღთქმა - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი.

- პატროლოგია - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე.

- **ეკლესიის ისტორია:**

მოდული ბ) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

- **კანონიკური სამართალი** - პროგრამის ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი გიორგი ანდრიაძე.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრის ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონათესავე დარგის მაგის-

ეკლესიის ისტორიას წითელ ხაზად გასდევს, როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლო. ყველაზე დიდი ძნელბედობის ჟამს, მე-19 საუკუნეში, როდესაც ჩვენს ქვეყანას აღარ ჰყავდა აღარც მეფე და აღარც პატრიარქი, უფალმა საქართველოს მოუვლინა უგვირგვინო მეფე, რომლის სახელი იყო ილია - უფალი ჩემი ღმერთია. წმინდა ილია მართალმა (ჭავჭავაძემ), რომლის ხსენებასაც აგრეთვე დღეს აღვასრულებთ, საქართველოში აღადგინა წმინდა ილია წინასწარმეტყველის დღე და უდიდეს დღესასწაულად აქცია.

მაგრამ საქართველოს ისევ დაუდგა ძნელბედობის ჟამი: ქართველებმა ხელი აღმართეს ილია მართალზე და თვით უფალზე, რომელიც ჩვენი ღმერთია. საქართველოში დადგა ღვთისგან განდგომის ჟამი. და ამ ურთულეს დროს უფალმა ღმერთმა ჩვენს ქვეყანას ისევ მოუვლინა ილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელმაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიბარა. და აი, მისი აღსაყდრებიდან ათი წლის შემდეგ ილიაობა საქართველოში ისევ განსაკუთრებულად აღინიშნა: 1987 წელს წმინდანად შეირაცხა ილია მართალი (ჭავჭავაძე) და მისი ხსენება დაწესდა წმინდა ილია წინასწარმეტყველთან ერთად, ანუ დღევანდელ დღეს.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაიბადა სოფელ სნოში, რომლის დასავლეთი ზღუდე წმინდა ილია წინასწარმეტყველის მთა არის და მის შორიახლოს, სოფელ გერგეტს ზემოთ, 2000 მეტრის სიმაღლეზე არის ყოვლადწმინდა სამების ყველაზე მაღალი ძველი ტაძარი; და, აი, დღეს ჩვენ ვდგავართ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის თაოსნობით აშენებულ ყოვლადწმინდა სამების ყველაზე დიდ ქართულ საპატრიარქო ტაძარში, რომელიც წმინდა ილია წინასწარმეტყველის მთაზეა.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, თქვენ თითქმის 60 წელია ატარებთ სახელს: „ილია — უფალი ჩემი ღმერთია" და თქვენი სახელით, თქვენი პირადი ცხოვრებითა და საზოგადო მოღვაწეობით მოუწოდებთ ქართველ ხალხსა და მთელ მსოფლიოს, რათა ახსოვდეთ, რომ უფალი ჩვენი ღმერთია. ილია წინასწარმეტყველი ცოცხალია და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენს; ასევე, უფალს, თქვენი მოციქულებრივი ღვაწლით, ჩვენს ხალხში ნამდვილად ჰყავს შემონახული არა ერთი, არამედ მრავალი 7 ათასი მორწმუნე, რომელსაც თაყვანი არ უცია თანამედროვე კერპებისათვის, რაც არის აპოსტასია, ანუ ღვთისაგან განდგომა, და გისურვებთ, რომ თქვენი მამათმთავრული მოღვაწეობითა და ზრუნვით, უფალმა, რომელიც ჩვენი ღმერთია, მოანიჭოს იმ საკრალურ 7 ათასსა და ბევრად მეტს — ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას — სრულიად საქართველოსა და მთელს მსოფლიოს — მარადიული სიცოცხლე იესო ქრისტეში, უფალში, რომელიც ჩვენი ღმერთია, ამინ!

ქრონიკა. ინფორმაცია

ხელდასხმა

21 ივლისს თბილისის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის კურსდამთავრებულს, **დავით მაისურაძეს**.

დიაკონი დავითი ამავე ტაძარში იმსახურებს.

* * *

21 ივლისს თბილისის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს, ახალქალაქის წმინდა ნინოს სახელობის სასულიერო სასწავლებლის სტუდენტს, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის დიაკონს **გიორგი ტულუშს**.

მღვდელი გიორგი ორხევის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

26 ივლისს ხირსის წმ. სტეფანეს სახელობის მამათა მონასტერში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის **დიაკვან გიორგი ყანჩაველს**.

მღვდელი გიორგი თბილისის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის განცხადება

ა(ა)იპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია" 2015—2016 წლისთვის აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

თანხმებლად მსჯელობა დაუშვებელად და მიუღებელად მიგვაჩნია.

რაც შეეხება ღვთისმშობლის შობის დღეს (21 სექტემბერი) ღვთისმშობლის კვართის ხობის მონასტერში გადაბრძანების სურვილს, ამისი საფუძველი, მართალია, არსებობს, რადგან ისტორიულად ეს სიწმინდე ხობის მონასტერში იყო დაცული, მაგრამ ბოლო წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ ჩვენი საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის, რადგან არ შეიძლება ეს პროცესი გაუგებრობის, დაძაბულობისა და დაპირისპირების ფონზე განხორციელდეს, არამედ ლიტანიობით უნდა აღესრულოს და საერთო სიყვარულითა და სიხარულით უნდა იყოს მოცული.

ყველა საქმეს თავისი დრო აქვს. მით უმეტეს ეს უნდა გავითვალისწინოთ ასეთ დიდ საუნჯესთან მიმართებაში. ღვთისმშობლის პერანგი ერთიანი საქართველოს ისეთივე სიმბოლოა, როგორც სვეტიცხოველში დაკრძალული უფლის კვართი. მათი მადლი კი ყველგან შეეწევა მორწმუნეთ.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება (17.09.2015.)

ქ.ზუგდიდიდან ღვთისშობლის კვართის გადაბრძანებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც ხობის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები შეხვდნენ მის უწმინდესობას ყაზბეგში და გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კათოლიკოს-პატრიარქი თანახმა იყო, ეს სიწმინდე ერთი დღით დაბრძანებულიყო ხობის მონასტერში; მაგრამ არ ითქვა იმ პირობის შესახებ, რომ პროცესს არ უნდა მოჰყოლოდა შფოთი და დაპირისპირება.

მათი ნათქვამის მიხედვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება იმისა, რომ ეს თემა ყველა დონეზე იყო შეთანხმებული და პრობლემები არ შეიქმნებოდა, მაგრამ დღეს ზუგდიდში განვითარებულმა მოვლენებმა საპირისპირო სურათი წარმოაჩინა.

ბუნებრივია, მისი უწმინდესობაც და, ზოგადად, ეკლესიაც ასეთ ვითარებაში მხარს ვერ დაუჭერს ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებას, რაც საქართველოს საპატრიარქოს 14 სექტემბრის განცხადებაშიც გარკვევით იყო დაფიქსირებული.

შევნიშნავთ იმასაც, რომ, რადგან ეს სიწმინდე დაცულია მუზეუმში, სახელმწიფოს მიერ და ეკლესია მასზე პატრონაჟს ვერ ანხორციელებს, თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ხელისუფლებამაც, მითუმეტეს, რომ თავიდან თანხმობა მათი მხრიდან იქნა გაცემული.

აღკვეცა

4 აგვისტოს თბილისის ორმეოცი სებასტიელი მოწამის სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა ათანასემ (კარანაძე) დიდ სქემაში აღკვეცა ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი, **არქიმანდრიტი ანტონი (ფურცელაძე)** და სახელად **ანდრია** უწოდა.

***

13 აგვისტოს დუბეს (ყვარელი) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის დედათა მონასტერში ნეკრესელმა მიტროპოლიტმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) მონაზვნად აღკვეცა **ია კახიანი** და სახელად **პელაგია** უწოდა.

ხელდასხმა

26 ივლისს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა ზედაზნის წმ. იოანე ზედაზნელის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერი იოანე (დიხამინჯია).**

***

30 ივლისს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა ზედაზნის წმ. იოანე ზედაზნელის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერი ნაზარი (სვიმონიშვილი).**

***

16 აგვისტოს ბახმაროს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა **დავით გოგიტიძე.**

***

22 აგვისტოს უბისის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში ღამისთევის მსახურებაზე მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მონაზვნად აღკვეცა საქასრიის დედათა მონასტრის მორჩილი **ფოტინე (სვანიძე)** და სახელად **მარიამი** უწოდა, მორჩილის კაბით შემოსა არგვეთის მამათა მონასტრის საძმოს წევრი **მერაბ კიკნაძე** და დიაკვნად აკურთხა ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის სტიქაროსანი **დავით ჩიხლაძე.**

***

23 აგვისტოს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **ლაშა კაპანაძე** და სახელად **ნიკოლოზი** უწოდა.

***

23 აგვისტოს შემოქმედის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი **ბერდიაკვან დავითს (შეწირული).**

მღვდელ-მონაზონი დავითი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნინოშვილის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად იმსახურებს.

***

25 აგვისტოს მანგლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილი **ბექა ებრალიძე** და სახელად **ლეონიდე** უწოდა.

***

28 აგვისტოს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **ზურაბ ლაცაბიძე** და სახელად **თომა** უწოდა.

***

28 აგვისტოს მესტიის მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა (ქიტიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან გიორგი მარშანიშვილს.**

***

6 სექტემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა-მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ვლადიმერ ბეროშვილი** და სახელად **ანდრია** უწოდა.

***

20 სექტემბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მორჩილის კაბით შემოსა ტაბაკინის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მედავითნე **ნიკოლოზ დოლიძე.**

დაჯილდოება

16 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სასულიერო პირები.

მცხეთა-თბილისის ეპარქია:

არქიმანდრიტის წოდებით — თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **ილუმენი აბიათარი (ქაფიანიძე);**

მიტრით — თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი ალექსანდრე მარკოზაშვილი;**

მარგვეთისა და უბისის ეპარქია:

არქიმანდრიტის წოდებით — **ილუმენი მაკარი (გოცაძე);**

გამშვენებული ჯვრით — **ილუმენი პახუმი (ბუხსიანიაძე);**

გამშვენებული ჯვრით და მიტრით — **დეკანოზი სერაპიონ სამხარაძე;**

ოქროს ჯვრით და ილუმენის წოდებით — **მღვდელ-მონაზონი პავლე (მაჩიტაძე), მღვდელ-მონაზონი გიორგი (ჯიმშელეიშვილი), მღვდელ-მონაზონი ანტონი (სულთანიშვილი).**

***

28 აგვისტოს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სასულიერო პირები:

გამშვენებული ჯვრით — სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი იოანე ბარკალაია;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ვაკის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი საბა ჭიკაიძე.**

***

13 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სასულიერო პირები:

არქიმანდრიტის წოდება: სოფ. გლდანულას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **ილუმენი ნერსე (სამხარაძე);**

ოქროს ჯვრით და დეკანოზის წოდებით — თბილისის (საირმე) წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი ბასილ გოგილაშვილი.**

ეკვდერის კურთხევა

16 აგვისტოს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა ტიბაანში, ხირსის წმ. სტეფანეს სახელობის მამათა მონასტრის წმ. ნიკოლოზის სახელობის განახლებული ეკვდერი.

დაწყვეტილება არ იყო მართებული, დასაბუთების შემდეგ, გააუქმოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააპელაციო კომისიას არ აქვს უფლება შეცვალოს ჟიურის გადაწყვეტილება;

10. კომისიამ არ შეიძლება სწორად ჩათვალოს ისეთი პასუხი, რომელიც ეწინააღმდეგება საღვთისმეტყველო გაგებას;

11. დაუშვებელია სააპელაციო კომისიის მიერ მოხდეს კითხვის - პასუხზე მორგება;

12. სააპელაციო კომისიის სხდომები, რომელზეც განიხილება აპელაცია, უნდა ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ კომისიის წევრთა მონაწილეობით. კომისიას აქვს უფლება საკითხის გასარკვევად გამოიძახოს ნებისმიერი პირი;

13. სააპელაციო კომისია ვალდებულია განიხილოს ყველა ის შემთვევა, რომელიც იწვევს აპელაციას და მოუსმინოს დავაში მონაწილე ყველა ადამიანს, მხარეების დასწრებით მოახდინოს დავის განხილვა;

14. კომისია ვალდებულია საბოლოო დასკვნის მიღებამდე დაინტერესებულ მხარეთა დაუსწრებლად მიიღოს წინასწარი გადაწყვეტილება;

15. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე კომისია ვალდებულია მოუსმინოს კიდევ ერთხელ დაინტერესებულ მხარეებს და მხოლოდ ამის შემდეგ, დაინტერესებულ მხარეთა დაუსწრებლად მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება;

16. კომისია ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით და კომისიის წევრთა ხელმოწერით გადასცეს მხარეებს;

17. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

18. თუ სააპელაციო კომისიის რომელიმე წევრს აქვს განსხვავებული აზრი, მას შეუძლია ეს აზრი დაფიქსიროს განსაკუთრებული შენიშვნის სახით;

19. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

4. გუნდების მომდევნო ეტაპზე გადასვლის წესი

1. გამარჯვებული გუნდი გადადის შემდგომ ეტაპზე +1 ქულით;

2. ის გუნდები, რომლებმაც გამარჯვებულ გუნდზე 1 ქულით ნაკლები დააგროვეს, გადავლენ 0 ქულით;

3. გუნდები რომლებიც დააგროვებენ გამარჯვებულ გუნდზე 2 ქულით ნაკლებს, შემდგომ ეტაპზე გადადიან -1 ქულით;

4. ნახევარფინალიდან ფინალში გადასვლის უფლება ეძლევათ მხოლოდ გამარჯვებულ გუნდებს.

4.4.1. ნახევარფინალისტთა ჯგუფების ჩამოყალიბების წესი:

ნახევარფინალისტთა გუნდები დაიყოფა 2 კალათად. I კალათში თავსდებიან გუნდები, რომლებმაც დააგროვეს 17 და მეტი ქულა. II კალათში თავსდებიან გუნდები, რომლებმაც დააგროვეს 17 ქულაზე ნაკლები. კენჭისყრის დროს აუცილებელია, რომ ერთ ჯგუფში მოხვდნენ ორივე კალათის წარმომადგენლები. (ცვლილება)

5. თუ გუნდი ზონალურ ან სანუგეშო ტურში დამარცხდა, მაგრამ დააგროვა 20 და მეტი ქულა, შემდეგ ტურში გადადის -2 ქულით. (ცვლილება)

6. ამ თავში აღნიშნული წესები არ ვრცელდება სასკოლო ეტაპზე.

5. სანუგეშო ტურები

1. სანუგეშო ტურები გაიმართება სარაიონო და ზონალური ეტაპების შემდეგ;

2. სარაიონო ტურში დამარცხებული გუნდები, რომლებიც დააგროვებენ 17 ან მეტ ქულას, ერთმანეთს სანუგეშო ტურში შეეჯიბრებიან. ანალოგიურად გაიმართება სანუგეშო ტური ზონალურ ეტაპზე დამარცხებულ გუნდებს შორის, რომლებიც დააგროვებენ 17 და მეტ ქულას. (მუხლი ამოღებულია გად. 04/05;) (ცვლილება)

2.1. მე-5 პუნქტის მეორე მუხლში მითითებული 17 (ჩვიდმეტი) ქულის ნაცვლად სანუგეშო ეტაპზე გადავლენ გუნდები, რომლებიც დააგროვებენ 12 (თორმეტი) და მეტ ქულას. (ცვლილება)

3. სანუგეშო ფინალში მონაწილეობენ სარაიონო და ზონალური ეტაპების შემდგომ გამართული სანუგეშო ტურის გამარჯვებულები.

4. სანუგეშო ტურებში და ასევე -2 და -1 ქულით გადამსვლელი გუნდების საბოლოო ქულა, დგინდება თამაშის ძირითადი ნაწილის დასრულების შედეგების მიხედვით. თამაშის ძირითად ნაწილად განისაზღვრება I და II რაუნდი და კაპიტანთა ბლიც ტური (სულ 35 კითხვა). (ცვლილება)

5. სანუგეშო ფინალის გამარჯვებულები შეუერთდებიან ნახევარფინალისტებს;

6. სანუგეშო ტურებში თამაშების გამართვის წესი ანალოგიურია კონკურსის სხვა ეტაპზე გამართული თამაშებისა.

აღკვეცა

25 სექტემბერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის საპატრიარქოს ტაძარში არქიმანდრიტმა მიქაელმა (ყაზიშვილი) მონაზვნად აღკვეცა საპატრიარქოს მთავარი ბუღალტერი ვერა მაჩიტაძე და სახელად მარიამი უწოდა. მონაზონი მარიამი საპატრიარქოს მონასტერში იმსახურებს.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რუსთავის ეპარქიის მღვდელმსახური, არქიმანდრიტი მიქაელი (კასრაძე) და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული არქიმანდრიტი მიქაელის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის წმინდა იოანე მხედრის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი კერესელიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხელდასხმა

27 სექტემბერს სამწევრისის ჯვართამაღლების სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკვან გაბრიელს (სეფაშვილი).**

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი კოდმანის წმ. გაბრიელ მცირის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

* * *

28 სექტემბერს ბებნისის წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა კერძო დიაკვანი **დიმიტრი მურვანიძე.**

დიაკვანი დიმიტრი ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

3 ოქტომბერს ცერონისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან გიორგი გრძელოვს.**

მღვდელი გიორგი ცერონისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

* * *

4 ოქტომბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა **იური მჭედლიძე** და სახელად **სვიმონი** უწოდა.

ბერად აღკვეცა

18 ოქტომბერს უბისის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) ღამისთევის ლოცვაზე შეასრულა ბერად აღკვეცის წესი: აღიკვეცენ არგვეთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი **თეიმურაზ გუმბერიძე** — სახელად უწოდა **სოლომონი;** არგვეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი **მერაბ კიკნაძე** — სახელად ეწოდა **ისააკი;** რიკოთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი **გიორგი ნეფარიძე** — სახელად უწოდა **გრიგოლი;** ტაბაკინის წმ. გიორგის სახელობის

მამათა მონასტრის მორჩილი **ნიკოლოზ დოლიძე** — სახელად უწოდა **მოსე.**

ტაძრის კურთხევა

1 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **კლდეკარის წმ. სვიმეონ მესვეტის სახელობის ტაძარი,** რომლის მწირველ მღვდლად იღუმენი შიო (მამისაშვილი) დაინიშნა.

* * *

3 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. ცერონისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრად მღვდელი გიორგი გრძელოვი დაინიშნა.

* * *

6 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა შატბერდის წმ. ალექსი შუშანიას სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრად მღვდელ-მონოზონი ალექსი (ქირია) დაინიშნა.

* * *

10 ოქტომბერს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) აკურთხა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზემო სურების ახლადაშენებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრად მღვდელი მიქაელ გუდავაძე დაინიშნა.

გვარეგის დალოცვა

11 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა შემდეგი გვარები: ჯულაყოძეები, თურმანიძეები, ხეთაგურები და ნანიკაშვილები, ხოლო 18 ოქტომბერს — გიგინეიშვილები.

მხედარი ქრისტესი და მოძღვარი მრავალთა დეკანოზ ზაზა გიორგობიანის ნათელ ხსოვნას

თორმეტი წლის წინ სასუფევლის კარი თქვენი სულის ნეტარებისთვის გაიღო, რადგან თქვენი გულითადი ლოცვა დღესაც გვეწევა.

შენდობით და მადლიერებით ვეფერებით თქვენს სპეტაკ სულს, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი!

სიყვარულითა და მონატრებით წმინდა სამების ტაძრის მრევლი

იმედი გვაქვს, ისტორიულ ჰერეთში მალე ისევ აღდგება წირვა-ლოცვა და ათასობით მართლმადიდებელს ერთადერთ ქართველ მოძღვართან ურთიერთობის საშუალება მაინც მიეცემა, რადგან დედა ეკლესია იქაურ ქართველებს ღმერთთან და სამშობლოსთან აკავშირებთ".

სერგო კერესელიძე

ხელოვნების X სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა ახალგაზრდულ ცენტრში

24 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიხსნა X ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო 5-16 წლამდე ასაკის მოსწავლეთა ნახატები, თექის ნამუშევრები და პლასტელინის ნაძერწები. გამოიფინა 200-მდე ნამუშევარი.

გამოფენა გაგრძელდება 27 ოქტომბრამდე.

ხელდასხმა

25 ოქტომბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკვან თომა ლაცაბიძეს.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს განათლების ცენტრის თანამშრომელს, მანანა ოვაშვილს გარდაეცვალა მამა — რატი-როლანდ ოვაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული რატის სული.

შეეწიეთ სნეულს

39 წლის დავით ხერხეულიძეს განუვითარდა ინფარქტი, შეუშუპდა ფილტვები და იმყოფებოდა რეანიმაციაში სუნთქვის აპარატზე. უფლის წყალობით, სუნთქვის აპარატიდან მოხსნილია და საერთო მდგომარეობა გაუუმჯობესდა, მაგრამ კარდიოლოგთა დასკვნით საჭიროა გადაუდებელი ოპერაცია გულის სარქველებზე. ჯანდაცვის სამინისტრომ დაუფინანსა ოპერაციის ძირითადი თანხა, მაგრამ კიდევ ხელზე გადასახდელი აქვთ 1200 ლარი. ოჯახს ამის შესაძლებლობა არ აქვს.

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ უძლურებაში მყოფი დავითი და, შეძლებისდაგვარად, შეეწიოთ:

ბანკი რესპუბლიკა. ანგარიში
GE27BR0000010337496737
მიმღები ციური მახარაშვილი (დავითის დედა).
ტელ.: 557587819

მოგონება

თეონა ყველასგან გამორჩეული გოგონა იყო, მებრძოლი, მაძიებელი ადამიანი, რომელიც ყოველთვიდ ცდილობდა ყველა კითხვაზე პასუხი მიეღო.

თავის სიყვარულს ხშირად არ ამჟღავნებდა, ბევრჯერ გამომჟღავნების საშუალებაც არ ჰქონდა... იგი ყველასგან დამოუკიდებელი ადამიანი იყო, რომელიც ყველას ინტერესს იწვევდა... როგორი იყო თეო სინამდვილეში? — უამრავი პრობლემის მიუხედავად ძალიან ლაღი, მხიარული, პოზიტიური პატარა ადამიანი, რომელიც თავის სიყვარულს უზომოდ გასცემდა. სწავლასთან ერთად დატვირთულ რეჟიმში ხშირად გათენებამდე მუშაობდა. სულ 22 წლის ცხოვრების მიუხედავად ყველას დაამახსოვრა თავი, სამწუხაროდ ჩვენთან ერთად თბილისის სასულიერო აკადემიის დამთავრებას ვერ მოესწრო, თეო თითეულ ჩვენთაგანს მეხსიერებაში დარჩება, როგორც პატარა, ფერადი, პოზიტიური გოგო, რომელიც ახლა ჩვენთან აღარ, მაგრამ გვწამს, რომ უფალთანაა. ყოველთვის გვემახსოვრები.

კურსელებისგან

წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი V საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციის დღიური

21-22 ოქტომბერს წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილ V საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციას ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიამ უმასპინძლა.

21 ოქტომბერს ცაგერის წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მამათა მონასტერში, სადაც იმყოფება წმ. მაქსიმეს და მისი მოწაფეების წმ. ნაწილები, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) პარაკლისი გადაიხადა. მეუფემ სტუმრები და კონფერენციის მონაწილეები დალოცა. საღვთისმეტყველო კონფერენციის III სესია ცაგერის სამლვდელმთავრო რეზიდენციის ბიბლიოთეკაში გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა ავსტრალიის კათოლიკური

იტანეს სიტყვები: მამა, დედა, და, ძმა და ა.შ. თემის, „რისი მჯერა, რისი მწამს", სათაური შეცვალეს და ეწოდა „რელიგია და რწმენა". შესაბამისად, ამოღებულია კითხვები: „გჯერა თუ არა თოვლის ბაბუის?" „ბეტმენის?" და ა.შ.

მიუხედავად ამ და სხვა მცირე ცვლილებებისა, ორივე სტანდარტის პროექტი მაინც მოითხოვს ძირეულ გადახედვას და გადაკეთებას. უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების მხრიდან არ არსებობს სოციალური დაკვეთა სასკოლო პროგრამაში ამ სტანდარტების ამოქმედებისა. მეორე — პროექტი ბაძავს დასავლეთში არსებულ მოდელებს. ჩვენს პედაგოგიურ კადრებს კი არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და მოუმზადებლები არიან ამ სტანდარტების რეალიზებისათვის. მესამე — პროექტის მეთოდოლოგიურ ნაწილში შეტანილია ფსიქოთერაპიის ისეთი მეთოდები, როგორიც არის „ცხელი სკამი", „გონებრივი იერიში", „პრობლემების ხე" და სხვ. ამ ტერმინების ადეკვატური შესაბამისი მეთოდები სასკოლო სივრცეში კი არა, სპეციალურ კლინიკებში გამოიყენება. თუ ამ ტერმინებში სხვა რამე იგულისხმება, პედაგოგისთვის გაუგებარი იქნება და თვითშემოქმედების ფართო ასპარეზი იხსნება.

თემა „ჩემი ოჯახი" შეიცავს კითხვებს, რომლებიც, რა ფორმითაც არ უნდა დაისვას, არღვევენ ბავშვთა უფლებების კონვენციის კანონებს. კერძოდ, საჯაროდ, კლასში არ შეიძლება იყოს განხილული მოსწავლის ოჯახის კონფიდენციალური ინფორმაცია ოჯახში არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს არის ბავშვთა ფსიქოლოგის, აღმზრდელის მოსწავლესთან პირადი ურთიერთობის შემთხვევაში განსახილველი საკითხები.

თემა, „რელიგია და რწმენა" არ ითვალისწინებს ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სქემას რელიგიური ცნობიერების და მისი ძირითადი დებულების გააზრებისა. თემა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და დეფორმირებულ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეს რელიგიის შესახებ; რჩება შთაბეჭდილება რელიგიის ყოფით დონესთან გაიგივებისა. ჩვენს ქვეყანაში არსებული რელიგიები არ განიხილება არც ისტორიულ ჭრილში, არც იმის მიხედვით, რომელია საქართველოში დომინანტი რელიგია. მინიშნებაც არ არის I-XX საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მოღვაწე ცნობილ ქრისტიან მეფეებზე, დედოფლებზე, განმანათლებლებზე, მონამეებზე, არც ქრისტიანულ კულტურაზე საქართველოში. ამ თემას პროექტში სხვა ხარვეზებიც ახლავს.

თემა „თემი, რომელშიც ვცხოვრობ" არ აკავშირებს კონკრეტულ თემს საქართველოსთან, როგორც ერთიან ქვეყანასთან და სახელმწიფოსთან. რთული დემოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზრისით, რეგიონებისათვის ამგვარი განკერძოება შეიძლება გახდეს დამატებითი ფაქტორი იქ სეპარატიზმის პროვოცირებისა. პროექტში არ განიხილება ამა თუ იმ თემის ისტორია, როდის ჩამოყალიბდა კონკრეტულ რეგიონში, რა ბედი ეწია იქ მანამდე მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას, რომლის კულტურულ-ისტორიული ძეგლებიც ცნობილია იმ რეგიონში (მაგალითად: კუმურდო, ფოკანი და სხვ.)

სტანდარტის პროექტს „ჩვენი საქართველო" აქვს როგორც ზემოთ ჩამოთვლილი, ისე განსხვავებული ტიპის ხარვეზებიც და როგორც შესავალი საქართველოს ისტორიისა, ვერ ასრულებს თავის მისიას.

ცალკე დგას საკითხი ამ საგნების სწავლებისა არაქართულენოვან სკოლებში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ:

1) სასწავლო პროცესის საათობრივი ბადე ისედაც გადატვირთულია, რის ფონზეც ახალი სტანდარტების დამტკიცებით შემოსული საგნები უფრო მეტად გადატვირთავენ საათობრივ ბადეს;

2) ახალი სტანდარტის პროექტით გათვალისწინებული საგნების არა ერთი საკითხი შეტანილია მოქმედ სტანდარტებსა და მათ შესაბამის საგნებში. მაგალითად: სამოქალაქო განათლება, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, გეოგრაფია და ა.შ.;

3) სტანდარტის პროექტში არ არის განმარტებული ისეთი საკვანძო სიტყვები და ტერმინები, როგორებიცაა: ღირსება, თემი, ოჯახი...

და მრავალი სხვა...

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

29 ოქტომბერი, 2015 წელი

როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ა.წ. 28 ოქტომბერს სასულიერო და საერო პირების ერთმა ნაწილმა განათლების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართა.

შევნიშნავთ, რომ ამ ქმედების შესახებ საქართველოს საპატრიარქო საერთოდ არ იყო ინფორმირებული; ამასთან, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ სულისკვეთებას, რაც მათ მიერ იქნა დაფიქსირებული.

ხელდასხმა

18 ოქტომბერს მანგლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე) დიაკვნად აკურთხა **ბერი ლეონიდე (ებრალიძე).**

***

18 ოქტომბერს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან დავით გრიგალაშვილს.**

მღვდელი დავითი სოფ. სართიჭალის სამრევლოში იმსახურებს.

***

25 ოქტომბერს ახალციხის წმ. მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე)

დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ირაკლი ებრალიძე.**

დიაკვანი ირაკლი თბილისის წმ. არჩილ და ლუარსაბის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

1 ნოემბერს მუხრანის მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარში წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტმა ზოსიმემ (შიოშვილი) მღვდლად დაასახელი **ბერ-დიაკვან შიოს (ოქრუაშვილი).**

მღვდელ-მონაზონი შიო ძალისისა და მჭადიჯვრის სამრევლოებში იმსახურებს.

აღკვეცა

28 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა **თამარ ლაზარიშვილი** და სახელად **ტაბითა** უწოდა (მართალი ტაბითას სახელზე).

დაჯილდოება

ამა წლის 1 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტროპოლიტის ხარისხში აღამაღლა ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი **სტეფანე (კალაიჯიშვილი).**

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი და გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია ვულოცავს მიტროპოლიტ სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ამ მაღალ საეკლესიო წოდებას!

არქიმანდრიტის წოდებით დაჯილდოვდა ფოკის წმ. ნინოს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **იღუმენი პაისი (ჯანჯღავა);**

არქიმანდრიტის წოდებით — მლეთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის იღუმენები: **პეტრე (თულაძე)** და **ნიკოლოზი (ჯაფარიძე);**

დეკანოზის წოდებით, გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — მარნეულის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი ილია ჭიღლაძე;**

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — წერაქვის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ზენონი (დადვანი);**

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — წერაქვის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის, სოფ. სიონისა და შაუმიანის სამრევლოების წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ფილიპე (რატიანი);**

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მარნეულის საავიაციო ბრიგადის კაპელანი, **მღვდელი გიორგი ტატურაშვილი.**

ტაძრის კურთხევა

25 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ძამის ხეობაში აკურთხა **გეთსამანიის** დედათა მონასტრის მენელსაცხებლე დედათა სახელობის ტაძარი.

***

25 ოქტომბერს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) აკურთხა **მარტყოფის** წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

ტაძრის საძირკვლის კურთხევა

31 ოქტომბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. **ხიდარის** წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის საძირკველი.

აპოლოგეტიკა

აპოლოგეტიკა (მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ἀπολογία და ნიშნავს — დაცვას, მფარველობას, გამართლებას) არის ღვთისმეტყველების ნაწილი, რომელიც იცავს ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტებებს.

შეიძლება გამოვყოთ აპოლოგეტიკის სამი ნაწილი: საღვთისმეტყველო, ისტორიულ-ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული.

პირველად აპოლოგიას უწოდებდნენ სასამართლოზე დამცველის მიერ ბრალმდებლის საპასუხოდ ნათქვამ სიტყვას. შემდეგ ამ სიტყვამ სხვა დატვირთვაც შეიძინა, კერძოდ, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად აუცილებელი გახდა ქრისტიანული რწმენის საფუძვლიანი დასაბუთება წარმართული სამყაროს წინაშე, ასევე მისი დაცვა შეურაცხმყოფელებისა და შემრყვნელებისგან.

ამ ამოცანის განხორციელება საკუთარ თავზე აიღეს იმ ქრისტიანებმა, რომლებიც ძალიან კარგად იცნობდნენ წარმართული სამყაროს ფილოსოფიურ და რიტორიკულ კულტურას. II-IV საუკუნეებში მათ უნდა განეხორციელებინათ გრანდიოზული სამუშაო, კერძოდ, ქრისტიანობის საფუძვლები განეცხადებინათ ბერძნულ-რომაული საზოგადოების განათლებული და გავლენიანი ფენებისთვის. ქრისტიანობის უდიდეს აპოლოგეტებად ითვლებიან: იუსტინე ფილოსოფოსი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, ტერტულიანე და სხვანი.

ხელდასხმა

25 ოქტომბერს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკვან ნიკოლოზს (სვანიძე),** ხოლო დიაკვნად აკურთხა **ლუხუმ ივანიაშვილი** და სახელად **ლაზარე** უწოდა.

***

26 ოქტომბერს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან მირიან მიქაძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა **თეიმურაზ პატარაია** და სახელად **თომა** უწოდა.

***

8 ნოემბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკვან დავით ჩიხლაძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა რიკოთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი გრიგოლი (ნეფარიძე).**

დაჯილდოება

8 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მიტრით — თბილისის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი დავით გოცირიძე;**

გამშვენებული ჯვრით — თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის (ვაკე) მღვდელმსახური, **დეკანოზი იაკობ სირბილაძე.**

***

8 ნოემბერს თბილისის წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძარში (აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააჯილდოვა ტაძრის ღვთისმსახურნი:

ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ბასილ ჟორჟიკაშვილი** დაჯილდოვდა **მეორე გამშვენებული ჯვრით;**

დეკანოზი გიორგი კუპატაძე — დეკანპოზის წოდებით.

სქემაში აღკვეცა

8 ნოემბერს, თბილისის ფერისცვალების სახელობის ტაძარში, მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა (ქიტიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა წალკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტრის მონაზონი მარიონილა (ნიგურიანი) და წმინდა მარიამ მაგდალინელის პატივსაცემად სახელად მარიამი უწოდა. აღკვეცას ესწრებოდა მისი სულიერი მოძღვარი, არქიმანდრიტი ანდრია (კბილაშვილი).

ეძებენ დაკარგულს

ოჯახი ეძებს 27 წლის დავით (ტატო) ყურაშვილს, რომელიც, ზოგიერთი ცნობით, შესაძლოა იმყოფებოდეს რომელიმე მონასტერში.

გთხოვთ, ვისაც აქვს რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ პირზე, აცნობოს დაკარგული დავითის მამას, ბატონ იოსებ ყურაშვილს შემდეგ ნომრებზე:

790-23-10-04; 551-23-10-03.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 14 და 28 ნომებრს, 13.00-14.00 სთ.;

რევმატოლოგი — 17 ნოემბერს, 17.30 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 20 ნოემბერს, 17.30 სთ.;

ნევროლოგი და ნეიროქირურგი — 12 ნოემბერს, 17.30 სთ.;

ეპილეფტოლოგი — 22 ნოემბერს, 12.00-14.00 სთ.;

ალერგოლოგი — 16 ნოემბერს, 16.00-17.00 სთ.;

დერმატოლოგი — 29 ნოემბერს, 12.00-13.00 სთ.;

პულმონოლოგი და ფთიზიატრი — 28 ნოემბერს, 12.00-14.00 სთ.

კარდიოლოგი — სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს — 17.30 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტისტ-სეფსისოლოგის, ოფთალმოლოგის, მამოლოგის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

შეეწიეთ სნეულს

3 თვის **ანა თათრიაშვილს** სჭირს კორძიანი სხეულის დიფუზური ჰიპოგენეზია ანუ თავის ტვინის დარღვევა და ამან გამოიწვია კრუნჩხვები, ეპილეფსიის უმძიმესი სინდრომი ჰტაჰარა (ოტაჰარა). ბავშვს დღეში რამოდენიმეჯერ ემართება კრუნჩხვა რაც მიკროინფაქტის ტოლფასია. ყოველი წამი სიცოცხლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ბავშვს სასწრაფოდ სჭირდება საზღვარგარეთ ძვირადღირებული მკურნალობა. ყველას გთხოვთ ვისაც რისი საშუალება გვაქვს დავეხმაროთ ანას.

ანას დედის რეკვიზიტები:

თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22

GE54TB7970845061600003

მიმღები: მაია არუთინოვი. ტელ: 557 78-81-80

თქვენ იცით, რომ ერთ-ერთი კანონი, რომელიც ღმერთმა კაცობრიობას მისცა, შემდეგია: „პატივი ეც დედასა და მამასა შენსა." მაგრამ ამით არ მთავრდება მცნება ღვთისა, არამედ გრძელდება შემდეგი სიტყვებით — „რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა". ამიტომ მინდა თქვენი ყურადღება განსაკუთრებით მივმართო თქვენს დამოკიდებულებაზე მშობლების მიმართ. შეიძლება მშობლის არ გესმოდეთ, შეიძლება განსხვავებული აზროვნება გქონდეთ, მაგრამ ვალდებული ხართ, პატივი სცეთ მათ და ასე მიიღებთ მადლს ღვთისგან — მიიღებთ მადლს სულისა წმინდისა, „რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა".

ადრეც არაერთხელ მითქვამს თქვენთვის მშობლისგან ლოცვა-კურთხევის აღების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ სათანადო ყურადღებას ვერ აქცევთ ამ საკითხს და ამით საკუთარ თავს ვნებთ. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო მათთვის, ვინც ან ვერ მოისმინა ჩემი სიტყვები, ან დაავიწყდა: ყოველდღე მიიღეთ მშობლებისგან ლოცვა-კურთხევა და ხელზე ემთხვიეთ. გახსოვდეთ, რომ ამ მთხვევით, თქვენ მიიღებთ ღვთის ლოცვა-კურთხევას.

მუდამ უნდა ეცადოთ, რამით გაახაროთ, ასიამოვნოთ თქვენი მშობლები. მახსენდება ჩემი სტუდენტობის წლები, როცა სასწავლებლიდან შინ ვბრუნდებოდი, ჩემი ერთადერთი სურვილი და საფიქრალი იყო, რით გამეხარებინა მშობლები. აუცილებლად საჩუქრებს ვუმზადებდი მათ. თქვენც გირჩევთ, რომ ამ საკითხს ყურადღება მიაქციოთ. არ შეიძლება მათ მიმართ უხეშობა! გახსოვდეთ, რომ მშობელი არის ღვთისაგან მადლმოსილი, მას საგანგებოდ ეძლევა მადლი, რომ შვილებს გადასცეს. და აი, ეს მადლი არ დაკარგოთ.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყოს თქვენზე და სრულიად საქართველოზე, ამინ!

დღეს ჩვენ ვლოცავთ ოთხ გვარს — ვეშანელებს, რუსაძეებს, გეწაძეებსა და დაბრუნდაშვილებს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, გაგამრავლოთ, სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ!

დღეს ასევე ვლოცავთ ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისს", მის მეთაურობასა და მხედრობას. ღმერთმა დაგლოცოთ და მშვიდობა მოგცეთ თქვენ და საქართველოს!

შეგახსენებთ, რომ ხვალ საღამოს შესრულდება ჩემი მომავალი ნათლულების ნათლობის მორიგი ეტაპი!

ღმერთმა დაგლოცოთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქადაგებები მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

4–დან 10 იანვრის ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს საშობაო ტურს იერუსალიმში — წმინდა მიწაზე;

შეხვდით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს იმ ადგილას, სადაც იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი; ტურის ღირებულება შეადგენს 1500 $-ს ერთი კვირა სრული პაკეტით; რომელიც მოიცავს შემდეგს: თვითფრინავით მგზავრობა ორივე მიმართულებით, პირდაპირი რეისი; 4-5* სასტუმრო 2-ჯერადი კვებით; გიდის მომსახურეობა, ტრასპორტირება, სამუზეუმო ხარჯი, სამოგზაურო დაზღვევა და სრულიად იერუსალიმის სიწმინდეების მოლოცვა).

დაწვრილებით ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მობ: 577 443 010, (032) 292–39–78.

ტაძრის კურთხევა

23 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. **მეორე სვირის**, ხიდაშელების უბნის, ახლადაგებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ტაძრის ქტიტორია უკრაინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი **მალხაზ ხიდაშელი**.

ხელდასხმა

23 ნოემბერს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკვან კონსტანტინე კობახიძეს.**

დაჯილდოება

23 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სახუნდარას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **სქემმღვდელ-მონაზონი იოანე (რეხვიაშვილი)** ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და იღუმენის წოდება მიენიჭა.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 28 ნომბერს, 13.00-14.00 სთ.;

დერმატოლოგი — 29 ნოემბერს, 12.00-13.00 სთ.;

პულმონოლოგი და ფთიზიატრი — 28 ნოემბერს, 12.00-14.00 სთ.

კარდიოლოგი — სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს — 17.30 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ინფექციონისტ-სეფსისოლოგის, ოფთალმოლოგის, მამოლოგის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

შედარებითი ღვთისმეტყველება

არეოპაგიტიკა

„არეოპაგიტიკა" (არეოპაგიტიკული კორპუსი — ლათ. Corpus Areopagiticum) არის აღმოსავლურ-ქრისტიანული საღვთისმეტყველო ტექსტების კრებული, დაწერილი ბერძნულ ენაზე. მიეწერება წმინდა დიონისე არეოპაგელს, რომელიც 52 წელს ქრისტიანულ რწმენაზე წმინდა მოციქულ პავლეს მიერ მოექცა (ამ დროს მოციქული პავლე ქრისტიანულ რწმენას ათენში ქადაგებდა).

„არეოპაგიტიკა" უნდა მივაკუთვნოთ ძველი ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ყველაზე საიდუმლო ძეგლს. ტექსტის ავტორობის საკითხი დააყენა ისეთმა ცნობილმა მართლმადიდებელმა ავტორმა და წმინდანმა, როგორიც კონსტანტინეპოლის პატრიარქი ფოტიოსი იყო. XVI-XX საუკუნეებში მრავალი ცდილობდა, დაედგინა ამ მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა რეფორმაციის პერიოდში და მას ტენდენციური ხასიათი მიეცა. თუმცა ყოველი მცდელობა, გარკვეულიყო ამ შრომების უტყუარი ავტორი, წარუმატებლად დასრულდა. XXI საუკუნის ზღურბლზე ავტორის ძიება შეჩერდა. თუმცა იმას, რომ ამ წიგნების ავტორი წმინდა დიონისე იყო, არ ეჭვობდნენ არც მისი ნაშრომების პირველი კომენტატორი, ეპისკოპოსი იოანე სკიფოპოლისი, არც მათი განმარტებელი, წმინდა მაქსიმე აღმსარებელი და არც უმეტესობა მართლმადიდებელი ეკლესიის მამებისა, რომელთა შორისაა წმინდა იოანე დამასკელი, წმინდა ნიკიტა სტითატი, წმინდაა გრიგოლ პალამა და სხვანი.

„არეოპაგიტიკის" განსაკუთრებული მნიშვნელობა ღვთისმეტყველების ისტორიაში აიხსნება იმ უნიკალური სინთეზით, რომელიც მისმა ავტორმა ამ ნაშრომში განახორციელა. მან უფლის უქმნელი, ზებუნებითი ყოფიერებისა და ქრისტიანული გამოცხადების მოუხელთებელი სიღრმეების გამოსახატავად ფილოსოფიური კატეგორიები გამოიყენა. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ანტიკური ფილოსოფიით განათლებული საზოგადოებისათვის წარმოედგინა სამყაროს „უმთავრესი და ყოველივეზე აღმატებული პირველმიზეზი", „სამება". მან დამარწმუნებლად აჩვენა ქრისტიანობის აღმატებულება ყველა ანტიკურ სიბრძნეზე, განსაზღვრა ონტოლოგიური პირველსაწყისი, განიხილა იგი ბუნების ცვალებად სტიქიებთან და ელემენტებთან მიმართებით. „არეოპაგიტიკით" ანტიკური სიბრძნით განათლებულ ადამიანს განეცხადა მისთვის აქამდე უცნობი მისტიკური გამოცდილება, რომელიც მოუწოდებდა, „შეერთებოდა იმას, რაც აღემატება ყოველივე არსებულს და ყოველგვარ სიბრძნეს". ეს ახალი მისტიკური გამოცდილება კი ამ საზოგადოებას ფილოსოფიური ენით მიეწოდა. ამგვარად, არეოპაგიტიკის შესწავლისას წარმართები არ წყდებოდნენ ფილოსოფიურ აზროვნებას, მაგრამ ქრისტიანულ გამოცხადებას ფილოსოფიური კატეგორიების რთულ და აღმატებულ ენაზე

ეკლესიასა და სახელმწიფოსთან ერთად, ქვეყნის საკეთილდღეოდ იმოქმედონ", — განაცხადა ბატონმა ზაზამ ჟურნალისტებთან საუბარში.

ლექცია ინგილოური დიალექტის შესახებ

24 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში, კ. კეკელიძის სახელობის აუდიტორიაში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რუსუდან ზექალაშვილმა და საზოგადოება „ქურმუხელის" თავმჯდომარე ნიკა ყიყიშვილმა ერთობლივი ლექცია ჩაატარეს ქართული ენის ინგილოური დიალექტის შესახებ.

სტუდენტებს საშუალება მიეცათ, მოესმინათ ინგილოურ კილო კავზე საუბარი და ამ დიალექტის თავისებურებებს გაცნობოდნენ. შეხვედრაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონის სკოლებში ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზეც იმსჯელეს. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს საკითხი ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში, სადაც, აზერბაიჯანული ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ბოლო 20 წლის მანძილზე 4 სკოლიდან ქართული სექტორი მხოლოდ ერთში შემორჩა. ამის გამო, ათასობით ქართველ მოსწავლეს ეზღუდება მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება და მათმა უმრავლესობამ აზერბაიჯანული სკოლების დამთავრების შემდეგ ქართულ ენაზე წერა-კითხვაც კი არ იცის.

როგორც პროფესორმა რუსუდან ზექალაშვილმა აღნიშნა, საჭიროა საქართველოს მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქციოს საინგილოში მცხოვრები ქართველების პრობლემებს. ლექციაზე დამსწრე სტუდენტებს დაურიგდათ გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" ის ნომრები, რომელიც საინგილოსა და ინგილოური დიალექტის თემატიკას ეძღვნებოდა.

სერგო კერესელიძე

ხსოვნის საღამო

ამა წლის 26 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში, აფხაზეთის ომის დროს მოწამეობრივად აღსრულებული აფხაზი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის, წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენის კავალერის - იური (გიორგი) ანუას ხსოვნის საღამო გაიმართა. საღამოზე ნაჩვენები იყო იური ანუას ხსოვნისადმი მიძღვნილი საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ხიდი" (რეჟისორი თამარ ბართაია).

იური ანუამ 1988-1990 წლებში, სოფელ კომანში საკუთარი სახსრებით აღადგინა წმინდა იოანე ოქროპირის ისტორიული ტაძარი. ამ ტაძარში ბრძანდება წმინდა იოანე ოქროპირის ლუსკუმა, რომელშიც 32 წელი განისვენებდა იოანე ოქროპირის წმინდა ნაწილები. 1990 წლის 26 ნოემბერს აღნიშნული ლუსკუმა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სოხუმის საკათედრო ტაძრიდან დააბრუნეს კომანის განახლებულ ტაძარში. იური-გიორგი ანუამ ასევე კომანში მთაში ააშენა 1500 საფეხურიანი რკინის კიბე წმინდა იოანე ნათლესმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილზე ასასვლელად და მიწით შეავსო და გაამშვენა, წმინდა ვასილისკოს წყაროსთან კომუნისტური რეჟიმის დროს ამოთხრილი, მიტოვებული და დაჭაობებული უზარმაზარი წყალსაცავი. ყოველივე ამას,იური-გიორგი ანუა აკეთებდა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში, როდესაც ეს მკაცრად იდევნებოდა და აკრძალული იყო იმდროინდელი ხელისუფლების მიერ..

1990 წლის 26 ნოემბერს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში წმინდა იოანე ოქროპირის ეკლესიის აღდგენა -რესტავრაციისათვის და მაღალი სულიერებისათვის ბატონი გიორგი /იური/ ანუა დაჯილდოვდა საქართველოს საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენით.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს იური ანუა მა მა ანდრიასთან ერთად მოწამეობრივად აღესრულა კომანში.

„ამ ტაძრის ფიზიკურ აღდგენასთან ერთად იური ანუამ ააგო დიდი სულიერებისა და სიყვარულის ტაძარი... თავისი მოწამეობრივი აღსასრულით მღვდელმონაზონმა ანდრიამ (ყურაშვილი) და იური-გიორგი ანუამ დაანთეს სულიერებისა და სიყვარულის ის ჩაუქრობელი სანთელი, რომელიც ამ უნდობლობის უკუნეთში ორივეს — ქართველსაც და აფხაზსაც უნათებს ტაძრისკენ მიმავალ გზას..." — აღნიშნა თავის გამოსვლაში მისმა ქალიშვილმა მანანა ანუამ.

ხელდასხმა

10 ნოემბერს ურბნისის წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) კერძო **დიაკვანი ილია თარგამაძე** დიაკვნად

აკურთხა.

დიაკვანი ილია რუისის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

***

22 ნოემბერს წალკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში წალკელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან ლევან ზაკალაშვილს.**

მღვდელი ლევანი სამხედრო კაპელანად დაინიშნა.

აღკვეცა

27 ნოემბერს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერში ძალაანთკარის წმ. ბასილი დიდის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, მღვდელ-მონაზონმა ბასილმა (ანთაძე) მონაზვნად აღკვეცა საქართველოს საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების თანამშრომელი **ეთერ უროტაძე** და სახელად **თამარი** უწოდა.

ტაძრის კურთხევა

17 ნოემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **რუისის** წმ. ივლიტას და კვიპრიანეს სახელობის ტაძარი.

ტაძრის მწირველ მოძღვრად **მღვდელი გიორგი აბდუშელიშვილი** დაინიშნა.

***

21 ნოემბერს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) აკურთხა **სართიჭალის** ყოვლადწმინდა სამების სახელობის მამათა მონასტრის ტაძარი.

***

22 ნოემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **ყინწვისის** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **ილუმენი ლუკა (შაკაია)** დაინიშნა.

***

22 ნოემბერს ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა) აკურთხა აბაშის მუნიციპალიტეტის, **სოფ. ონტოფოს** წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი.

***

24 ნოემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. **ბრეთის მეურნეობაში წყალობის** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი ილია ჩიკვაიძე** დაინიშნა.

***

26 ნოემბერს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) აკურთხა **მარტყოფის** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი.

***

26 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა **ზესტაფონის** (გეწაძეების უბანი) წმ. ამბროსი აღმსარებლის (ხელაია) სახელობის ეკლესია, რომლის ქტიტორია ბატონი გია გეწაძე. ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი დავით ჩიხლაძე** დაინიშნა.

დაჯილდოება

22 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და ილუმენის წოდება მიანიჭა **მღვდელ-მონაზონ ლუკას (შაკაია).**

***

29 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა სამთავროს წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მღვდელმსახური, **დეკანოზი მირიან ალიბეგაშვილი.**

სემინარი ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტში

სასიხარულოა, რომ 2015 წლის 27 ნოემბერს, თურქეთში, ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტში, ლიტერატურის ფაკულტეტისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა სემინარი „ქართული სამყარო და ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა".

თუღრულ ინალის ვრცელი საკონფერენციო დარბაზი სავსე იყო სტუდენტებით, სხდომას ასევე ესწრებოდნენ ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები და ხელოვნების ისტორიის მიმართულების პროფესურა.

ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტის პროფესორმა დოქ. სერჯან იანდინმა გააკეთა შესავალი სიტყვა და ისაუბრა ქართული არქიტექტურის შესწავლისა და კვლევის მნიშვნელობაზე თურქეთში, რადგან ჩვენ გვაქვს საერთო მემკვიდრეობა.

წაიკითხეს ორი მოხსენება. დოქ. ირინე გივიაშვილმა წაიკითხა „შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება", ხოლო დენიზლის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქ. ფაჰრიე ბაირამმა „ქართული ხელოვნება ტაო-კლარჯეთის მხარეში".

ქრონიკა. ინფორმაცია

მცირე განმარტება

ა.წ. 5 დეკემბერს რუსთაველის თეატრში შედგა სპექტაკლი პატიმარი ქალების მონაწილეობით. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო თეატრის სცენა და დარბაზი მჯავრდებულებს დაეთმო. წარმოდგენაც და შექმნილი გარემოც მეტად ემოციური იყო; მისმა უწმინდესობამ სწორედ ამ ფონზე ბრძანა, რომ კარგი იქნებოდა, პატრიარქსაც ჰქონოდა პატიმრების შეწყალების უფლება.

ეს იყო მათდამი სოლიდარობის, მათი დახმარებისა და თანადგომის სურვილით ნათქვამი აზრი და არა მოთხოვნა საკანონმდებლო დონეზე ამ წინადადების განხილვისა.

საქართველოს საპატრიარქო
06.12.2015

დაჯილდოება

7 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი მღვდელმსახურნი:

დეკანოზი გიორგი გუგუშვილი — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ლევან მათეშვილი — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი კახაბერ შურღაია — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი აღიყვანა დეკანოზის ხარისხში და დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი სვიმეონ მარგველაშვილი აღიყვანა დეკანოზის ხარისხში და დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი გიორგი ფერაძე აღიყვანა დეკანოზის ხარისხში და დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

* * *

21 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) აკურთხა სართიჭალის ყოვლადწმინდა სამების სახელობის მამათა მონასტრის ტაძარი და დააჯილდოვა ამავე ტაძრის წინამძღვარი და შემდეგი ღვთისმსახურები:

ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი კეჟერაშვილი — მიტრის ტარების უფლებით;

მღვდელ-მონაზონი გიორგი (ვარდანაშვილი) — იღუმენის წოდებით;

მარტყოფის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი დავით დილებაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

ხელდასხმა

4 დეკემბერს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიზინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) **მღვდლად** დაასხა ხელი **დიაკონ მაქსიმე თოდუას**, ხოლო **დიაკვნად** — საბურთალოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის **მედავითნე კახაბერ ტვილდიანი**.

მღვდელი მაქსიმე თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

დიაკონი კახაბერ ტვილდიანი საბურთალოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

04–დან 10 იანვრის ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს საშობაო ტურს იერუსალიმში – წმინდა მიწაზე;

შეხვდით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს იმ ადგილას, სადაც იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი; ტურის ღირებულება შეადგენს 1500 $-ს, ერთი კვირა — სრული პაკეტით, რომელიც მოიცავს შემდეგს: თვითფრინავით მგზავრობა ორივე მიმართულებით, პირდაპირი რეისი; 4-5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, 2-ჯერადი კვებით; გიდის მომსახურეობა, ტრანსპორტირება, სამუზეუმო ხარჯი, სამოგზაურო დაზღვევა და სრულიად იერუსალიმის სიწმინდეების მოლოცვა.

დაწვრილებით ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მობ: 577443010, (032) 292–39–78.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 12, 15, 19, 26 დეკემბერს 12.00-13.00 სთ.;

რევმატოლოგი — 22 დეკემბერს 17.30 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 18 დეკემბერს, 17.30 სთ.;

ნევროლოგი — 13 დეკემბერს 12.00-14.00 სთ.; 17 დეკემბერს 17.00 სთ.;

ვივლინა ეს დიდი მადლი. უფლის დიდებით ვიქეცით იმათ, რაც ვართ.

ამიტომ დღეს ყოველი ქართველი ადამიანი უნდა იყოს ეკლესიის წევრი და მადლობა შესწიროს უფალს ამ დიდი წყალობისათვის.

დღეს არის მეუფე ვახტანგის ანგელოზის დღე. ვულოცავთ მას ამ დღესასწაულს!

წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

დღეს წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული კვლავაც აგრძელებს თავის მისიონერულ მოღვაწეობას საქართველოში; ასევე განაგრძობენ თავის მსახურებას წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი და პირველი კათოლიკოსები — პეტრე და სამუელი.

შეგეწიოთ ღვთის მადლი და კურთხევა ღვთისა იყოს თქვენზე, საქართველოსა და მთელ მსოფლიოზე!

დღეს ვლოცავთ სასწრაფო დახმარების კარდიოლოგიური ცენტრის „კარდიოექსპრესის" კოლექტივს, რომლის ხელმძღვანელები არიან ლევან ჯიჯეიშვილი და მარიამ ბერიაშვილი.

დღეს ასევე ილოცება ვარდიაშვილებისა და ჩაბაშვილების გვარები.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ და გაგამრავლოთ, სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

საღვთისმეტყველო სამეცნიერო კონფერენცია გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში 2015 წლის 23 დეკემბერს ჩატარდება საღვთისმეტყველო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სასწავლებლის საღვთისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, ასევე მოწვეული თეოლოგები. გამომსვლელები წარმოადგენენ თხუთმეტ მოხსენებას, რომლებშიც განხილული იქნება როგორც ზოგადი დოგმატიკური, ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური თემები, ასევე ქართულ ტრადიციასა და დღევანდელობასთან დაკავშირებული სასულიერო თემატიკის საკითხები. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დისკუსიას. გათვალისწინებულია გამორჩეულ მოხსენებათა დაბეჭდვა.

კონფერენციის საინფორმაციო მხარდამჭერებია: საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება", გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი", საგანმანათლებლო პორტალი edu-guide.ge

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3. საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" შენობა, მე-5 სართული.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ: 599728630.

შეცდომების გასწორება

„საპატრიარქოს უწყებანის" 39-ე ნომერში გაიპარა უნებლიე შეცდომა გვარების დალოცვაში ვეშანელის ნაცვლად უნდა ეწეროს ვეშაგური.

შენდობას ვთხოვთ მკითხველსა და ამ გვარის წარმომადგენლებს.

აღკვეცა

10 დეკემბერს სოფ. კეხიჯვრის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ამავე სახელობის დედათა მონასტრის **მორჩილი ქეთევან გვარამია** მონაზვნად აღკვეცა (მცირე სქემაში) და სახელად **თეოფანია** უწოდა (ნეტარი თეოფანია დედოფლის სახელზე).

***

12 დეკემბერს მზოვრეთის წმ. აცამეტ ასურელ მამათა სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ამავე სახელობის მამათა მონასტრის **მორჩილი იოსებ აბრალავა** ბერად აღკვეცა (მცირე სქემაში) და სახელად **სელაფიელი** უწოდა (მთავარანგელოზ სელაფიელის სახელზე).

მილოცვა

ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ რევაზ ტომარაძეს შეუსრულდა 85 წელი. გულითადად ვულოცავთ მამა რევაზს ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ეკლესიის საკეთილდღეოდ და ღვთის სადიდებლად.

ში. უნდა ითქვას, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ჯერ კიდევ IV საუკუნეში გამოცხადდა. III-IV საუკუნეებში ითარგმნა სახარება ქართულ ენაზე. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში იქმნებოდა ლითონის ნაკეთობები, იწერებოდა წიგნები. ვფიქრობთ, ეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა უნდა იყოს შენარჩუნებული. იმედი გვაქვს, რომ ევროპა არა მარტო ბევრ სიკეთეს მოგვიტანს, არამედ ასევე დაიცავს ჩვენს კულტურას. ამის იმედით ზეიმობს დღეს ჩვენი ხალხი ამ მოვლენას. მინდა განსაკუთრებით მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ბატონო ჰერმან, რომელმაც ესოდენ დიდი წვლილი შეიტანეთ ამ საქმეში", — განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეხვედრაზე.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს ეს დიდი მიღწევა მიულოცა ასევე პრემიერ-მინისტრ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს და მთელ ქვეყანას.

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ბატონმა იანოშ ჰერმანმა პატრიარქთან საუბარში აღნიშნა, რომ მათთვის კარგად არის ცნობილი ის წვლილი, რომელიც საქართველომ თავისი უძველესი კულტურული მემკვიდრეობით საუკუნეების განმავლობაში ევროპის ცივილიზაციის განვითარებაში შეიტანა და ასევე ხაზი გაუსვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს ამ პროცესის წარმართვაში.

კერძოდ, მან აღნიშნა: „ძალიან კარგად ვიცით იმ წვლილის შესახებ, რომელიც საქართველომ საუკუნეების განმავლობაში ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციის განვითარებაში შეიტანა. ასევე კარგად მოგვეხსენება იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელიც აღნიშნულ პროცესში საქართველოს ეკლესიამ შეასრულა თქვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის განმავლობაში.

ასევე საკმაოდ კარგად ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და რას წარმოადგენს სულიერი მემკვიდრეობა. დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ მხარდაჭერისა და ძალისხმევისთვის, რომ საქართველო ევროსტრუქტურებში გაერთიანდეს".

ბატონმა იანოშ ჰერმანმა ასევე ისაუბრა ევროკომისიის ანგარიშზე, რომელმაც საქართველოს მიღწევები პოზიტიურად შეაფასა და მას უმნიშვნელოვანესი ეტაპი უწოდა უვიზო მიმოსვლის შემოღების თვალსაზრისით. „საბოლოო გადაწყვეტილებას ჩვენ კიდევ ველოდებით. უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ ის გზა, რომელსაც ახლა ვიწყებთ თქვენს პოზიტიურ შეფასებას, რეკომენდაციას და მხარდაჭერას მოელის", - აღნიშნა ბატონმა ჰერმანმა.

საპატრიარქოს პრესცენტრი

დაჯილდოება

19 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **მღვდელ-მონაზონი ანდრია (ბრეგვაძე)** აღიყვანა **იღუმენის ხარისხში და გამშვენებული ჯვრით** დააჯილდოვა.

* * *

20 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **მღვდელი დავით აფციაური** დააჯილდოვა **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის ხარისხით.**

ხელდასხმა

13 დეკემბერს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) **მღვდლად** დაასხა ხელი საგურამოს წმინდა გიორგის ტაძრის **დიაკონ დავით მაჩიტაძეს.**

მღვდელი დავითი ამავე ტაძარში იმსახურებს.

* * *

6 დეკემბერს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) **ბერდიაკვნად** აკურთხა **ბერი ტიხონი (ჯანჯღავა)**, რომელიც სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს რეწვის განყოფილების ხელმძღვანელი, სასულიერო სემინარია-აკადემიის პედაგოგი, მონაზონი თამარი (ეთერ ურუტაძე) და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მონაზონ თამარის სული.

ფონდ „ლაზარეს" სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტში მონაწილეთა გამოფენა

8 დეკემბერს, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზში (ათონელის ქ. 9/6) გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს" სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტში მონაწილე მოზარდთა ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო „ლაზარეს" სასწავლო სახელოსნოებში დამზადებული საიუველირო ნაწარმი, მინანქარი, ჭედურობა, ხეზე ნაკვეთი ნივთები, ტანსაცმელი, ფარდაგები, თექის ნაწარმი და სხვ.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს საპატრიარქო და სააქციო საზოგადოება „თელასი".

გამოფენა 10 დეკემბრამდე გაგრძელდა.